ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 მარტი, 2023

№63 (9099)

ფასი: 80 თეთრი




მოზარდზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით შიდა ქართლში შუახნის მამაკაცი დააკავეს

პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, სქესობრივი კავშირის იძულება — სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება




# რატომ აჩუქა ივანიშვილმა ნაციონალების ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს 240 მილიონი დოლარი?!




თაკო ჩარკვიანი: „როგორ მიბედავს უშიშროების გამომძიებელი ნიკანორ მელია ტლიკინს"






ვახტანგ ძაბირაძე: „მელია, დეკანოიძე და გილაურიც, შესაძლებელია, პოლიტიკურ მომავალს ერთად ხედავდნენ, მაგრამ გილაური ვერ წარმომიდგენია ლიდერის პოზიციაზე"

## „ხატია დეკანოიძემ პარტიის დატოვება იჩქარა"

## „ოპოზიციის გაერთიანების გარეშე ცვლილებები ვერ მოხერხდება"




ნინო ბურჯანაძე: „7-8 მარტის მოვლენები ეს იყო ხელისუფლების უდიდესი შეცდომა და დანაშაულიც კი"

## სალომე ზურაბიშვილი: „ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თბილისის ქუჩებში"







## „პუტინს ფრონტზე ძალიან დიდი პრობლემები აქვს"

„პუტინს იმედი ჰქონდა, რომ თამაშში სი ძინპინი ჩაერთვებოდა, მაგრამ მან რუსეთთან სამხედრო კავშირზე უარი თქვა"




## „სამოქალაქო წესით განსჯილი საქმე დანაშაული არ არის" — მამუკა მდინარაძე შალვა რამიშვილზე




## ირაკლი კობახიძე: „კეზერაშვილმა თავის დანაშაულებს მიხედოს"




## მკვლელობის თვითმხილველმა თუთიყუშმა მკვლელი ჩაუშვა




## დავით ნინიაშვილი ოსკარის მფლობელია

1993230720223

**3** პატრუშევი: „საქართველო აშშ-ის ბიოლოგიური იარაღის საცდელი ადგილი გახდა"

**5** ანანია გაჩეჩილაძე შალვა რამიშვილს სექსუალურ ძალადობაში ამხელს

**5** მშობლების მიერ დაშორებული შეყვარებულები 60 წლის შემდეგ დაქორწინდნენ

**6** სატვირთოს მძღოლი სასადილო შესვენების დროს ლატარიის გათამაშების გამარჯვებული გახდა

# „ოპოზიციის გაერთიანების გარეშე ცვლილებები ვერ მოხერხდება"

## ნინო ბურჯანაძე: „7-8 მარტის მოვლენები ეს იყო ხელისუფლების უდიდესი შეცდომა და დანაშაულიც კი"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს ნინო ბურჯანაძე პასუხობს.

***– ქალბატონო ნინო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? 7-8 მარტის მოვლენების შემდეგ გახშირდა ქვეყანაში დასავლელი მაღალი რანგის თანამდებობის პირების ვიზიტი საქართველოში. ექსპერტების შეფასებებით, ეს ყველაფერი სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებს ჰგავსო. მაშინაც სწორედ ასეთი გახშირებული ვიზიტები იყო და მიდიოდა სააკაშვილის დარწმუნება, ხელისუფლება დემოკრატიული და მშვიდობიანი გზით გადაებარებინაო. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე, რას უკავშირდება ეს გახშირებული ვიზიტები?***

– უპირველეს ყოვლისა, მინდა თქვენი გაზეთითაც დავაფიქსირო ჩემი პოზიცია 7-8 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით. ეს იყო ხელისუფლების ყველაზე, რბილად რომ ვთქვათ, უდიდესი შეცდომა და სულელური ნაბიჯი, რომ არ დავარქვათ ამას დანაშაული. თუმცა ნამდვილად დანაშაული იყო, იქიდან გამომდინარე, რომ ამოცანა ხელისუფლებისა, ამ კანონის შემოტანით, იყო კიდევ უფრო გამყარება ანტიდემოკრატიული ვითარების ქვეყანაში. ასევე ამოცანაა ავტოკრატიული რეჟიმის დამყარება, როდესაც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ პოლიტიკური პარტიები იყვნენ მაქსიმალურად დასუსტებულები. თავისუფალი მედია იყოს მუდმივი ზეწოლის, ფინანსური და მორალური შანტაჟის ქვეშ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებიც უნდოდა მიეყოლებინა ხელისუფლებას.

***– სრული კონტროლი ყველა რგოლზე?***

– რა თქმა უნდა, სრული კონტროლი და ეს არის ავტოკრატიის გატკეპნილი გზა. ამას დიდი მარჩიელობა არ სჭირდება.

***– მათი უკანდახევა რამ განაპირობა?***

– უკანდახევა განაპირობა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების პროტესტმა. რაც არ უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ, რომ ეს იყო მართული პროტესტიო, ეს არ იყო მართული პროტესტი. 90% იქ მყოფი ადამიანების იყვნენ აბსოლუტურად გულწრფელი და ყოველგვარი მართვის გარეშე მოსული ახალგაზრდები. ხელისუფლება მიხვდა, რომ სწორედ იმიტომ, რომ ეს აქცია არ იყო მართული, ეს აქცია მათთვის შეიძლება ძალიან საშიში ყოფილიყო და ძალიან ცუდად დამთავრებულიყო. სწორედ ამან განაპირობა ამ კანონპროექტის უკან გატანა. მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდების გამოხატულმა პროტესტმა და იმ ძალამ, რაც დაინახა ხელისუფლებამ ამ მოვლენების დროს. აღარაფერს ვამბობ იმ სისულელეზე, რომ აბსოლუტურად არ იყო საჭირო ამ აქციის წინააღმდეგ ძალის გამოყენება. ამას ყველაფერს, ბუნებრივია, დასავლეთი ხედავს და მადლობა ღმერთს, რომ ხედავს.

მესმის, რომ დასავლეთსაც თავისი პრობლემები აქვს და ჩვენ, უბრალოდ, 30 წელია სულ თავის ტკივილი ვართ ჩვენი მეგობრებისთვის. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, 2020 წლის არჩევნებზე, ჩვენთვის რომ არ დაეძალებინათ (იმ პარტიებისთვის, ვისაც რამდენიმე მანდატი გადმოუგდო ბიძინა ივანიშვილმა) პარლამენტში შესვლა, დღეს ქვეყანაში ეს მდგომარეობა არ იქნებოდა. დასავლეთი მაშინ მაინც მოტყუვდა ივანიშვილის პროდასავლური რიტორიკით, მაინც ვერ წარმოედგინათ, რა გზას აირჩევდა „ქართული ოცნება" და ბიძინა ივანიშვილი. ახლა „ოცნება" აბსოლუტურად გაშიშვლდა, სრულიად ნათელია მათი აბსოლუტური, ერთმნიშვნელოვანი ანტიდასავლური რიტორიკა და არა მარტო რიტორიკა.



***– ირაკლი კობახიძე აცხადებს, ევროპარლამენტი რას ამბობს, ამას არავითარი ფასი არ აქვსო. რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებებს?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. მე ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი შეცდომა არის ამ ტიპის განცხადებების გაკეთება. ჯერ ერთი, უბრალოდ, არადიპლომატიურია ასეთი განცხადების გაკეთება და მერე მეორე, არასწორია. ევროპარლამენტი კი პარლამენტია და დავუშვათ, პარლამენტს არა აქვს იმის ძალა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილებები აღასრულოს. პარლამენტი არის პოლიტიკური ორგანო, მაგრამ პოლიტიკას ქმნის ქვეყანაში პარლამენტიც და ევროპაშიც, რა თქმა უნდა, ევროპარლამენტი პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს. ამიტომ იმის თქმა, რომ ევროპარლამენტი რას იტყვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, როგორც მინიმუმ, ეს არის ძალიან დიდი შეცდომა და საკუთარივე თავის დაზარალება.

***– ეშინიათ კანდიდატის სტატუსის მიღების? ამ პასუხისმგებლობის აღება არ უნდათ?***

– არა, მაგას არ ვიტყოდი, მოდით, ობიექტურები ვიყოთ. პირიქით, მე მგონია, რომ კანდიდატის სტატუსის მიღება მათ ძალიანაც აწყობთ, ამით გარკვეულწილად შეარბილებენ საპროტესტო განწყობილებებს ქვეყანაში. უბრალოდ, აქ არის არჩევანი, კანდიდატის სტატუსის მიღება უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, თუ ის, რომ რეალურად განახორციელონ ის ნაბიჯები, რაც კანდიდატის სტატუსს სჭირდება. ანუ გაათავისუფლონ სასამართლო, გაათავისუფლონ მედია, მოაგვარონ პოლიტპატიმრების საკითხი და ასე შემდეგ. როცა ასეთი არჩევანია, ანუ საკუთარი ძალაუფლება შეასუსტონ და დემოკრატიულ ნაბიჯებზე გადავიდნენ თუ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი მიიღონ, რა თქმა უნდა, ისინი არჩევანს აკეთებენ არა სტატუსის, არამედ საკუთარი ძალაუფლების გაძლიერების სასარგებლოდ. თორემ ახლა თუ ვინმე აჩუქებთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, ამის წინააღმდეგი არ იქნებიან.

***– ანუ ხელისუფლების ულტიმატუმი ასეთია: მიგვიღეთ ასეთები, როგორებიც ვართ?***

– დიახ, მიგვიღეთ ასეთები, როგორებიც ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს რაღაცნაირად ხელისუფლებას პოზიტივს ჩაუწერს, მაინც მინდა იმედი ვიქონიო, რომ ევროკავშირი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. ეს არის საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. რაც შეეხება ამ გახშირებულ ვიზიტებს, ესეც არის დაკავშირებული ზუსტად იმასთან, რომ სინამდვილეში არავის საქართველოში დესტაბილიზაცია არ უნდა. რაც არ უნდა იძახოს „ქართულმა ოცნებამ", რომ ომი უნდა საქართველოში დასავლეთს, ეს არის ტყუილი! დასავლეთისთვის საქართველოში ომი და არასტაბილურობა დამატებითი პრობლემის მომტანი და თავის ტკივილია. ვერც მიგვატოვებენ და იმდენი რესურსი, რომ ჩვენც დაგვეხმარონ, ძნელი მოსაძებნია. ამიტომ საქართველოში დესტაბილიზაცია არავის სურს. ეს ჩამოსვლები არის ზუსტად განგაშის სიგნალი, რომ იქნებ ხელისუფლებას რაღაცა შეასმინონ და იქნებ ხელისუფლება მეტ-ნაკლებად სწორ გზაზე დააყენონ. კარგია, იყოს ეს მცდელობები, თუმცა მე ამის დიდი იმედი არა მაქვს.

***– ქალბატონო ნინო, ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ამწვავებს სიტუაციას, საზოგადოებას აპირისპირებს ერთმანეთთან. ბევრი ფიქრობს, რომ სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეა ქვეყანაში. თქვენ რამდენად ფიქრობთ ასე?***

– კი, ეს საფრთხე, სამწუხაროდ, არის და ჩვენ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ და ყოველგვარი სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე, ნებისმიერი პროტესტი წარვმართოთ ისე, რომ ქვეყანა არ დაზარალდეს. სამოქალაქო დაპირისპირებას, ბუნებრივია, ეს ხელისუფლება ვერ გაუძლებს, მაგრამ ეს იქნება ძალიან მძიმე ქვეყნისთვის. არავინ არ იცის, ვინ როგორ გამოიყენებს ქვეყნის გარედან ნებისმიერი ტიპის არასტაბილურობას. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო.

ოპოზიციისკენ იშვერენ ხელს და თვითონ უქმნიან საფრთხეს ქვეყანას. თვითონ რომ არ მიეღოთ ის კანონი, არანაირი 7-8 მარტის აქციები არ იქნებოდა. ისევე, როგორც თვითონ რომ არ ჩაეჯინათ გავრილოვი იმ სავარძელში, არანაირი 20 ივნისი და გავრილოვის ღამე არ იქნებოდა. ასე რომ, ვინ არის ამ შემთხვევაში მაპროვოცირებელი ამ ყველაფრის?! ხელისუფლება თუ კარგად იქცევა, ოპოზიციამ რაც არ უნდა მოინდომოს, ხალხი ქუჩაში არ გამოვა. მოიქცნენ წესიერად და არანაირი დესტაბილიზაცია არ იქნება.

***– ქალბატონო ნინო, 9 აპრილს ნაციონალური მოძრაობა აანონსებს აქციას. როგორ ფიქრობთ, იქნება ისევ ისეთი მასშტაბური, როგორც 7-8 მარტის აქციები?***

– ჩემი წინასწარი კომენტარები, უბრალოდ, არაკორექტული იქნება, მე რომ დავიწყო იმის შეფასება, რამდენი კაცი მოვა და რამდენი არ მოვა. არ ვიცი, რა სამუშაოს ატარებს ნაციონალური მოძრაობა. მე, ზოგადად, რა თქმა უნდა, პატივს ვცემ ნებისმიერი პარტიის უფლებას, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერი აქცია დააანონსოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ შედეგი გვინდა, შედეგს სჭირდება ოპოზიციური ერთობა, შედეგს სჭირდება კოორდინაცია, პროცესის დაგეგმვა და ბევრი სხვა რამ. თუ ერთი პარტია გადაწყვეტს, რომ მას შეუძლია რაღაც პრინციპული შერყევა მოახდინოს ხელისუფლების, არ ვიცი, ვნახოთ... მე მგონია, რომ ხელისუფლების შერყევა ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდება ერთი, ორი, თუნდაც ხუთი პარტიის ერთიანობით. ამას სჭირდება სრული კონსოლიდაცია.

ჩვენს ძვირფას და საყვარელ ახალგაზრდებს მინდა ვუთხრა, რომ, რა თქმა უნდა, ისინი ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ, მაგრამ მინდა მათ ვთხოვო, რომ არ აყვნენ იმ პოსტულატებს, რომელსაც წლების განმავლობაში, ყველა ხელისუფლება ცდილობდა, ჩაენერგა ხალხისთვის.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ პოლიტიკოსები არ გვინდა. გვახსოვს ბევრი მასშტაბური აქცია. თუნდაც, რომელიც ჟურნალისტებმა და საზოგადოებამ ერთად მოაწყვეს. ძალიან პატივსაცემი ხალხი იდგა, ძალიან მასშტაბური და მნიშვნელოვანი აქციები იყო. მე მაშინ მქონდა საუბარი მათთან და ძალიან დელიკატურად მივანიშნე, რომ პოლიტიკური პროცესი ვერ იქნება პოლიტიკოსების გარეშე. ასევე დელიკატურად და პატივისცემით მიმანიშნეს, რომ ჩვენ ჩვენი საქმე ვიცითო. რით დამთავრდა ეს აქციები? არაფრით. ასევე იქნება ნებისმიერი სხვა აქცია, რომელიც არ იქნება პოლიტიკურ ჩარჩოებში ჩასმული. მე 7-8 მარტს სპეციალურად არ მივედი აქციაზე, თუმცა ჩემი შვილები ორივე იქ იყვნენ. ასევე ჩვენი პარტიის ახალგაზრდებიც იქ იყვნენ, როგორც რიგითი მოქალაქეები. სპეციალურად არ მივედი, დავინახე, რომ ეს იყო ახალგაზრდების გულის ძახილი და ჩავთვალე, რომ ეს უნდა დარჩენილიყო პოლიტიკის მიღმა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ნებისმიერი პროტესტი, მან რომ სამომავლოდ შედეგი მოიტანოს, უნდა გადავიდეს ერთობლივად საზოგადოების და პოლიტიკოსების კოორდინაციის და კონტროლის ქვეშ.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ასეთ აქციებში პოლიტიკოსებიც უნდა მონაწილეობდნენ?***

– ხელისუფლების შეცვლა თუ გვინდა, ეს არის პოლიტიკური პროცესი. პოლიტიკური პროცესი, არსად დედამიწაზე, კარგი თუ ცუდი პოლიტიკოსების გარეშე არ წარმართულა. თუ პოლიტიკოსები არ იქნებიან, პროცესი შედეგით ვერ დამთავრდება. ვარდების რევოლუცია რატომ დამთავრდა ისე, როგორც დამთავრდა?! ვარდების რევოლუციის სათავეში იდგნენ პოლიტიკური ლიდერები. სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში ასეთი ლიდერები აღარ არიან. იქ იყო სერიოზული კოალიცია, ერთიანობა, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური ძალების, იყო ლიდერები და იყო ძალიან დიდი კოორდინაცია ხალხსა და ლიდერებს შორის. ამიტომ იყო, რომ ეს პროცესი დამთავრდა არა მხოლოდ წარმატებით, არამედ დამთავრდა მსხვერპლის გარეშე! არც მაშინ მოვწონდით ყველა ლიდერი ყველას. ამის მიუხედავად, ამ ერთობამ მოიტანა შედეგი. ახლაც იგივე უნდა იყოს. არ გვინდა პოლიტიკოსები აქციაზეო. აბა ხელისუფლება როგორ უნდა შეიცვალოს? აქციაზე მყოფი ხალხი შევა პარლამენტში და კანცელარიაში და ისინი ჩამოაყალიბებენ მთავრობას და პარლამენტს?! არა, რა თქმა უნდა. არჩევნები უნდა მოვიპოვოთ და ამ არჩევნებზე ხმა ხომ მაინც პოლიტიკოსებს უნდა მივცეთ. ხალხს კი ჩაუდეს თავში, რომ პოლიტიკა ბინძურია, პოლიტიკოსები ცუდები არიან. მე არ მივიღებ ამას, არავითარ შემთხვევაში! მე თუ არ მოვწონვარ ვინმეს, სხვა აირჩიოს. ახლა თუ არავინ არ არის ამათი მოსაწონი, მაშინ დარჩება ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება"!

***– რას იტყვით ვადამდელ არჩევნებზე? არის მზად ამისთვის ოპოზიცია?***

– თუ არ მოემზადე, მზად არასოდეს არ იქნები. თავის დროზე უნდა ყოფილიყო ვადამდელ არჩევნებზე საუბარი და კონსულტაციები. თუ ოპოზიციამ ელემენტარული გაერთიანება ვერ მოახდინა და თუნდაც ხვალ რომ არჩევნები დაინიშნოს, ასე ცალ-ცალკე გავიდა არჩევნებზე, ვინ რამდენ პროცენტს აიღებს?! 5%-ს ვერ აიღებს ვერც ერთი ნაციონალური მოძრაობის გარდა. ერთობის გარეშე არაფერი არ გამოვა და ეს უნდა გაიგონ.

# „სამოქალაქო წესით განსჯილი საქმე დანაშაული არ არის" — მამუკა მდინარაძე შალვა რამიშვილზე

„ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა მდინარაძე სექსუალურ შევიწროებაში არაერთი ქალის მხრიდან მხილებულ POSTV-ის ხელმძღვანელ შალვა რამიშვილს ისევ არაპირდაპირ მხარდაჭერას უცხადებს. მისი მტკიცებით, „უსიამოვნო მოსასმენი იყო" ის ჩანაწერები, რაც ქალებმა რამიშვილის წინააღმდეგ გაავრცელეს, თუმცა ამბობს, რომ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ამ საქმეების კვალიფიკაცია.



მდინარაძის განცხადებით, მხარს უჭერს „რეალურ მსხვერპლებს".

– მე ყველა ქალს ვუჭერ მხარს, რომელიც არის რეალური მსხვერპლი, რომელიც განიცდის დევნას, შევიწროებას, ძალადობას და არ უნდა არსებობდეს ადამიანი, რომელიც სხვანაირად აზროვნებს, ეს არის პრიორიტეტული თემა. რაც შეეხება სასამართლოს გარეშე ადამიანების გასამართლების თქვენეულ მცდელობას, მე ამას უბრალოდ არ ვეთანხმები და ამაზრზენია. სასამართლო, გუშინ გაირკვა, რომ წაგებული აქვს არახელსაყრელი პირობების შექმნისათვის, სამოქალაქო სასამართლო და არა სისხლის სამართლის წესით და დაკისრებული აქვს 2.000 ლარის გადახდა, რომელიც მას ჰქონია გადახდილი. სიმართლე გითხრათ, გუშინდელ დღემდე მეც მეგონა, რომ სისხლის სამართლის წესით იყო დამნაშავედ ცნობილი, თურმე სამოქალაქო წესით. სამოქალაქო წესით განსჯილი საქმე დანაშაული არ არის. მართლაც ძალიან უსიამოვნო მოსასმენი იყო, რაც ჩანაწერებში ვნახეთ, გიდასტურებთ მთელი პასუხისმგებლობით, მაგრამ შესაბამის კვალიფიკაციაზე, სამოქალაქოა, ადმინისტრაციულია, დანაშაულია ანუ სისხლია თუ არა, ეს უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ და არა მე და თქვენ. ამაზრზენია, როდესაც ამ ყველაფერს ის ადამიანები აპროტესტებენ და იმ ადამიანებს აჸრიალებთ ვითომ ამ ყველაფერზე, რომლებიც ქმნიდნენ სისტემას, რომლებმაც თავის მხრივ სკამებზე და მაგიდებზე გადასკოჩილი ადამიანები გააუპატიურეს, – თქვა მდინარაძემ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – ხოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რატომ აჩუქა ივანიშვილმა ნაციონალების ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს 240 მილიონი დოლარი?!

## თაკო ჩარკვიანი: „როგორ მიბედავს უშიშროების გამომძიებელი ნიკანორ მელია ტლიკინს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

***– ქალბატონო თაკო, ევროსაბჭოს დელეგაცია სტუმრობს საქართველოს. პარლამენტში გამართეს შეხვედრები და ძირითადი მოთხოვნა და საუბრის თემა მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანას ეხებოდა. რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება ამ რეკომენდაციას? სააკაშვილის საკითხი ასევე 12-პუნქტიან გეგმაშიც შედის. რა მოლოდინი გაქვთ?***

– ხომ იცით, გაჭირვებული ხავსს ეპოტინებოდაო, ზუსტად ეგრეა ჩემი საქმე. სულ ვეპოტინები ხავსს, მაგრამ ძალიან გათავხედებულია ეს ოლიგარქი. გარდა ამისა, ცოტა არ იყოს, ამ რუსეთის მდგომარეობით, პუტინს, ხომ ვნახეთ, ვერდიქტიც გამოუტანეს ჰააგაში, ამით შეშინებულებიც არიან. შეშინებული და კედელთან მიყენებული ხელისუფლება კი უფრო საშიშია. ვაჭრობს ეს ხელისუფლება. ამის მოლოდინი მაქვს, რომ ბიძინა ივანიშვილი ბოლომდე ივაჭრებს. ის, რომ ადგება და სააკაშვილის ასე ხელაღებით გაუშვებს, ამას ვერ ვიტყვი, რომ ხვალვე ამას გააკეთებენ. ევროსაბჭოს დელეგაცია ყველას ცალ-ცალკე შეგვხვდა. ძალიან ღირსეულად გვიდგანან გვერდით და ძალიან სწორად აქვთ აღქმული, რომ ჩვეულებრივად კვდება ეს ადამიანი. კლავს ხელისუფლება და ჩვენ ამ მკვლელობას ვუყურებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან შეურაცხმყოფელია, ესე ვილაცა ბედავდეს, რომ მონაწილე გაგხადოს ამხელა მკვლელობის. მთელი მსოფლიო ფეხზე დგას, ყველა ეუბნება, კატასტროფაა, რასაც თქვენ აკეთებთო. ამ ხელისუფლების ვადა ამოწურულია, წასასვლელი უნდა წავიდეს. არ შეიძლება ამ მდგომარეობაში ამათი ქვეყნის სათავეში გაჩერება. ამ მდგომარეობამდე რომ საზოგადოებას მიიყვან, ასეთ შეურაცხყოფას რომ მიაყენებ, ამ ტიპის ხელისუფლება არც ერთი წუთით აღარ უნდა გაჩერდეს! სირცხვილია, ან ჩვენ როგორ უნდა გავაჩეროთ.

***– ქალბატონო თაკო, ბოლო პერიოდია, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ძალიან შეცვალა რიტორიკა. ვისმენთ მის განცხადებებს, ოლიგარქი უწოდა ბიძინა ივანიშვილს. რა მოლოდინი გაქვთ? საზოგადოებას აქვს განცდა, რომ შესაძლოა სწორედ პრეზიდენტმა შეიწყალოს როგორც ნიკა გვარამია, ისე მიხეილ სააკაშვილი.***

– რაღაც მოლოდინი გვაქვს. ყველა ვცდილობთ, რომ ეს ქალი ისე წავიდეს პოლიტიკიდან, რაღაც მაინც ჰქონდეს გაკეთებული. ასეთი საცოდაობა მე არაფერი მინახავს. რაღაცას ბაქიბუქობს და ვერაფერს ვერ აკეთებს. საშინელებაა ასეთი საწყალი პრეზიდენტი. ვნახოთ, გამოჩნდება, თუ რაიმეს გაკეთება შეუძლია და თუ არ არის უკიდურესად მშიშარა. იქნებ წასვლამდე რაღაცა მოახერხოს.

***– ცდილობს, რომ სამარეში არ ჩაყვეს „ქართულ ოცნებასო“. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– ჰოდა, თუ ასეა, დაემსგავსოს პრეზიდენტს, ცოტათი მაინც. იმოქმედოს ისე, როგორც ამ ინსტიტუტს ეკადრება. საცოდაობაა ამის ყურება. გამოდის, წვალობს, რაღაცას ფილოსოფოსობს, მაგრამ მოქმედებაში ვერ



**„ეს ხელისუფლება ხაზარაძეს, წერეთელს სასამართლოებს უწყობს ხანდაზმულ საქმეებზე, ნიკა გვარამია საერთოდ არაფერზე ზის და ნაცების ყოფილ პრემიერ გილაურს, რომელმაც უნდა დააფინანსოს ეს პარტია, ხმას საერთოდ არ სცემენ. რატომ, რა ხდება?! ამ კითხვის დასმის უფლება არ გვაქვს?!“**

მოვიდა ამდენი ხანია.

***– ქალბატონო თაკო, ამ ფონზე, ძალიან იძაბება სიტუაცია ოპოზიციაშიც. დაპირისპირება სულ უფრო და უფრო ღრმავდება. თქვენი განცხადებების საპასუხოდ, ნიკა მელია აცხადებს, რომ თაკო ჩარკვიანი კაგებეს მეთოდით ჭორებს მივრცელებსო. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

– მე საერთოდ მიყვარს ფაქტებით საუბარი. თუ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, ისე არაფერს ვამბობ. ავდექი და ნიკას ბიოგრაფია ამოვიღე. ნიკა გაღიზიანდა, რადგან ეს კორუფციული სქემა გამოვააშკარავე და საჯაროდ გამოვიტანე. ნიკა, ეტყობა, თავის თავზე საუბრობს. 2002-2003 წლებში, წლებს მიაქციეთ ყურადღება, სწორედ მაშინ, კორუფცია რომ ყმუის, ნიკანორ მელიამ დაამთავრა უშიშროების აკადემია და უშიშროების სამინისტროში მუშაობს გამომძიებლად. ამით პასუხი გაცემული მაქვს ნიკანორ მელიასთვის. ალბათ კაგებეს როცა ახსენებს, თავის თავზე საუბრობს. ოფიციალურად, 2002-2003 წელს უშიშროების გამომძიებელი რომ ხარ. წარმოგიდგენიათ, რა ბინძური საქმეები აქვს ნაკეთები. მეტი რა უნდა დაგემართოს ბიოგრაფიაში! ეს კაცი, ბედავს და თაკო ჩარკვიანს ეტლიკინება მხოლოდ იმიტომ, რომ მე ხალხს მივაწოდე ის სავარაუდო კი არა, არამედ არსებული კორუფციულ-ოლიგარქიული სქემა და ინფორმაცია, რომელიც მქონდა. რადგან კიდევ 30 წელიწადი ამ 2002 წელს უშიშროებაში ნამუშევარი „შნიკების“ სქემაში არ მოჰყვეს საქართველო და არ მოვყვეთ ქართველი ხალხი!



20002 წელს მუშაობს მელია უშიშროებაში გამომძიებლად და აი ეს ბიჭი ბედავს, იტლიკინოს და ეპასუხოს პოლიტიკოსს მხოლოდ იმიტომ, რომ იმ პოლიტიკოსმა გამოიტანა ძალიან სერიოზული სქემა გარეთ.

***– რა იყო ეს სქემა?***

– ეს სქემა არის ის, რომ ნიკა გილაური, რომელიც გახლდათ ნაციონალური მოძრაობის პრემიერი, ქმნის პარტიას. ჩვენ დავინტერესდით, ხომ უნდა დავინტერესებულიყავით? საინტერესო ის არის, რომ გილაური, იმ წლებში, როდესაც 26 მაისის დარბევა ხდება, პრემიერია. 2009-2012 წლამდე გილაური არის პრემიერი. ეს ხელისუფლება მას არაფერს არ ეუბნება. არანაირი კითხვები არ აქვთ მასთან. შემდეგ, 2015 წელს, გილაურის ძმა ყიდულობს წყალკანალს 120 მილიონ დოლარად. იღებს 240 მილიონი დოლარის ვალდებულებას, სახელმწიფო აკისრებს ვალდებულებას, რომ ტარიფი არ გაიზარდოს და ჩატარდეს გარდაბნის ტერიტორიაზე სერიოზული სამუშაოები. ეს 240 მილიონი დოლარის ვალდებულება მომდევნო წლებში არ სრულდება. სახელმწიფო გილაურის ძმას უხსნის ამ ვალდებულებას და იყიდება ეს წყალკანალი 230 მილიონ დოლარად ესპანელებზე. კითხვა ჩნდება ძალიან ლოგიკური და ჩვენც დავსვით კითხვა. ეს ხელისუფლება ხაზარაძეს, წერეთელს სასამართლოებს უწყობს ხანდაზმულ საქმეებზე, ნიკა გვარამია საერთოდ არაფერზე ზის და ნაცების ყოფილ პრემიერ გილაურს, რომელმაც უნდა დააფინანსოს ეს პარტია, ხმას საერთოდ არ სცემენ. რატომ, რა ხდება?! ამ კითხვის დასმის უფლება არ გვაქვს?!

***– ანუ თქვენ გგონიათ, რომ ივანიშვილის დაკვეთით უნდა შეიქმნას ეს ახალი პარტია და მის თამაშს თამაშობენ?***

– რა თქმა უნდა! მგონია კი არა, სახეზეა ყველაფერი! 240 მილიონი აჩუქა სახელმწიფომ, ნაციონალური მოძრაობის ყოფილ პრემიერს და მგონია არის ეს?! აბა როგორ, რომ გაჩუქებს, ბატონო, 240 მილიონს ხელისუფალი და ჩვენთან ხელისუფალი ვინც არის, ყველამ კარგად ვიცით, მერე ის ოლიგარქი როცა გეტყვის შენ, პარტია შექმენიო, შექმნი!

***– და ნიკა მელიასაც ვიხილავთ ამ პარტიაში?***

– კი ბატონო, ნიკა მელიამ უკვე მიიღო შეთავაზება.

***– მაშინ მელიას ფრთა მთლიანად წამოვა ნაციონალური მოძრაობიდან. ხატია დეკანოიძე უკვე წამოვიდა.***

– დიახ, ასე იქნება. ეგაა მაგათი სქემა და სწორედ ამაზე ვსაუბრობ. სხვა გვარებიც არის კიდევ, ვისთანაც მოლაპარაკება წარმოებდა, უბრალოდ, ეს ჯერ არ ვთქვით. რას გამოდის და რას უარყოფს ეს უშიშროების გამომძიებელი ნიკანორ მელია?! ეს მისი „პროფესიაა“, რომ სიმართლე უარყოს. მე იმიტომ კი არ გამომიტანია ეს ინფორმაცია, რომ ნიკა მელიას აზრი მაინტერესებდეს. მე ხალხს მივაწოდე ინფორმაცია, რომ ახალი სქემა მზადდება ფეიკპარტიისა. ხალხო, დავილალეთ! ახალგაზრდებიც დავლალეთ. დავწყდით, აღარ შეგვიძლია და ახლა კიდევ ფეიკით წავიდეთ ახალ წრეზე?!

***– 9 აპრილის აქციის წინ, ნაციონალური მოძრაობის რღვევა რომ დაიწყოს, ეს ხომ დააზიანებს პროცესს და პარტიას?***

– რაღა რღვევა, ნიკა მელიამ ისედაც გაარღვია და მოარღვია ყველაფერი.

***– უკვე ღიად გამოჩნდა, რომ ამ პარტიის მმართველები მერაბიშვილი და კეზერაშვილია?***

– არ მინდა სხვის პარტიულ საქმეებში ჩარევა, მაგრამ მერაბიშვილი რომ პარტიის დამფუძნებელი იყო, ხატია დეკანოიძემ ეს როდის გაიგო?! რა, არ იცოდა? გამოდის და გირგვლიანის ამბებს ახლა უხსენებს. მე ვერ ვიტან ამ ორმაგ სტანდარტს, თორემ, არც მერაბიშვილი მაინტერესებს და არც კეზერაშვილი! ხატია კი არ იყო ოპოზიციაში იმ წლებში, სწორედ მე ვიყავი! და მე მასწავლის, გირგვლიანის დროს ვინ სად იყო?! და როდის გაიგო ეს ყველაფერი ხატიამ, ახლა?! მე არ მინდა, რომ ამ თაღლითურ სქემაში, რაც ახლა მზადდება, ხალხმაც მიიღოს მონაწილეობა და კიდევ მოატყუონ. სწორედ ამიტომ გამოვიტანე გარეთ. ასეთი ბინძური სქემის დამალვა როგორ იქნებოდა? გამოდის, რომ მეც მონაწილე ვიქნებოდი ამ სქემის. ამან გაამწარა მელია, ეს ამბავი რომ გარეთ გამოვიტანე. კაგებე და უშიშროება მოიკითხოს საკუთარ ბიოგრაფიაში. მერე საალსრულებო ბიუროში მუშაობდა, არც ეს დაავიწყდეს. ასეთ ტლიკინს არ ვუტარებ არავის. მე რომ სხვა ბეგრაუნდი მქონდეს, ამდენს არ ვილაპარაკებდი. ამიტომ ენა გააჩუმოს!

## პატრუშევი: „საქართველო აშშ-ის ბიოლოგიური იარაღის საცდელი ადგილი გახდა“



რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი ამტკიცებს, რომ ამერიკული ბიოლოგიური იარაღის საცდელი ადგილი არა მხოლოდ უკრაინა გახდა, არამედ შტატების სამიზნეა საქართველო, მოლდოვა, ისევე, როგორც შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის რამდენიმე ქვეყანა.

პატრუშევმა აღნიშნა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ვაშინგტონის ფართომასშტაბიანი ბიოლოგიური აქტივობებისა და ამ პროცესებში ამერიკული ელიტების ჩართულობის შესახებ „არსებობს უტყუარი მტკიცებულებები“.

– არა მხოლოდ უკრაინა გახდა ბიოლოგიური იარაღის საცდელი ადგილი. შეერთებული შტატები და სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, როგორებიცაა საქართველო, მოლდოვა, ისევე, როგორც ШОС-ს რამდენიმე წევრი ქვეყანა არიან თვალწინ, – თქვა მან შეხვედრაზე. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის თქმით, აუცილებელია შანხაის თანამშრომლობის ფორმატში ბიოუსაფრთხოების შესახებ რეგულარული საექსპერტო კონსულტაციების ჩატარება.

## სალომე ზურაბიშვილი: „ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თბილისის ქუჩებში“



რუსული კანონის წინააღმდეგ თბილისში გამართული მრავალათასიანი აქციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ამერიკის პრეზიდენტის ორგანიზებულ დემოკრატიის ფორუმზე ისაუბრა.

მისი თქმით, ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

– ჩვენს გზას ევროინტეგრაციისკენ ალტერნატივა არ აქვს, – თქვა ქვეყნის პრეზიდენტმა.

პრეზიდენტმა თქვა ისიც, რომ ქვეყანაში გამოწვევად სასამართლო სისტემა რჩება.

საქართველომ, რთული გეოპოლიტიკური გარემოს და შიდა დაძაბულობის მიუხედავად, მიაღწია წინსვლას ორ ძირითად პრიორიტეტთან დაკავშირებით: დასრულდა ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა, მიღებულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ეროვნული სამოქალაქო გეგმა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ზომები. მიუხედავად ამისა, ინკლუზიური პროცესით სასამართლო რეფორმის განხორციელება, რაც ჩვენი დასახული პრიორიტეტია, ჩვენგან კვლავ სათანადო ძალისხმევას მოითხოვს

მაშინ როცა, ეს ცვლილებები საქართველოს დეკლარირებული ვალდებულებების ნაწილი იყო და მოგვარდა ახალი კანონებისა, ან სამოქმედო გეგმების მიღებით მოგვარდა, ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თბილისის ქუჩებში სამოქალაქო უფლებების ნებისმიერი კუთხით შეზღუდვის წინააღმდეგ გამოსვლითა და დემოკრატიულ პრინციპებთან ერთგულების დემონსტრირებით, რაც შთააგონებდა და შთააგონებს ჩვენს ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე.

ამ პროტესტმა წარმატებას მიაღწია როგორც უცხოური აგენტების შესახებ კანონის გაუქმებაში, რაც დემოკრატიის გამარჯვება იყო, ასევე, პოლარიზაციის დაძლევის უნარის დემონსტრირებაში, როდესაც ის საერთო მიზნის ირგვლივაა გაერთიანებული. ამ თვალსაზრისით, დაიწყო ეროვნული თანხმობის პროცესი.

ჩვენი გზა დემოკრატიის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, რომელიც ჩვენს კონსტიტუციაშია ჩაწერილი, არის ჩვენი სტაბილურობის საფუძველი და მას ალტერნატივა არ აქვს.

მინდა გავიმეორო საქართველოს კიდევ უფრო ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის მტკიცე დაპირება და გამოვთქვა მზადყოფნა, ვითანამშრომლოთ ყველა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორთან უფრო დემოკრატიული, მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოს მშენებლობაში, რომელშიც საქართველო მოიპოვებს ადგილს, როგორც სანდო პარტნიორი, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ზურაბიშვილმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას:

– იმპერიალისტური ამბიციების მქონე შეუზღუდავი ავტორიტარული რეჟიმი, – თქვა მან.

# „ხატია დეკანოიძემ პარტიის დატოვება იჩქარა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „მელია, დეკანოიძე და გილაურიც, შესაძლებელია, პოლიტიკურ მომავალს ერთად ხედავდნენ, მაგრამ გილაური ვერ წარმომიდგენია ლიდერის პოზიციაზე“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

*– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე? 2024 წლის არჩევნებისთვის რამდენად არის გადაჯგუფება მოსალოდნელი. შეიძლება ძველი სახეებით ახალი პარტია გამოვიდეს ასპარეზზე? თუმცა, ყოფილმა პრემიერმა გილაურმა ეს ინფორმაცია უარყო.*

– დღევანდელ პოლიტიკურ მოცემულობაში, პარტიული განფენილობა ისეთია, რომ მხოლოდ ორ პარტიას – „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია 5% ბარიერის გადალახვა. ყველა დანარჩენ პარტიას საარჩევნო ბარიერის გადალახვის პრობლემა აქვს.

რაც შეეხება ელექტორალურ მოცემულობას: ამ შემთხვევაში გვაქვს სამი დიდი ჯგუფი. პირველი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ირჩევს. მეორე, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი და მესამე ყველაზე დიდი 60%-ზე მეტი, რომელსაც არც ერთი უნდა და არც – მეორე. გადაუწყვეტელი ამომრჩეველი. გადაუწყვეტელი ამომრჩეველი იმდენად დიდია, რომ საერთოდ არ გამოვრიცხავ პოლიტიკოსებში ყოფილებში, მოქმედებში თუ დამწყებებში ცდუნებას იწვევდეს, შექმნას ახალი პოლიტიკური ძალა და იმუშაოს ამ სეგმენტზე. ასეთი აზრები გილაურსაც, მელიასაც და დეკანოიძესაც რომ გასჩენოდათ, ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ ივანიშვილის ქოლგის ქვეშ ამას ნამდვილად გამოვრიცხავ. მართალია, ეს კაცი უკვე ყველას და ყველაფერს ყიდულობს ბითუმად, ცალობით თუ უკვე ალარ ვიცი, კიდევ როგორ,



მაგრამ ამ შემთხვევაში გამოვრიცხავ.

სრულიად გასაგებია, რომ ნიკა მელია შიდა პარტიული არჩევნების წაგების შემდეგ, პარტიაში დისკომფორტს გრძნობდეს. ის ალბათ გარკვეულ გამოსავალს ეძებს და ესც სრულიად ბუნებრივი და გასაგებია. რაც შეეხება ხატია დეკანოიძეს, ვფიქრობ, მან პარტიის დატოვება ცოტა იჩქარა. უკეთესი იყო შემოდგომისთვის დაეტოვებინა. მელია, დეკანოიძე და გილაურიც შესაძლებელია პოლიტიკურ მომავალს ერთად ხედავდნენ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, გილაური ვერ წარმომიდგენია ლიდერის პოზიციაზე. ის საჯარო ფიგურა არასდროს არ ყოფილა. ყველაზე უკეთესი მაინც ხატია დეკანოიძე იქნებოდა.

*– ისინი ელექტორატის რომელი სეგმენტის მიმხრობას შეძლებდნენ?*

– რომლებსაც არ მოსწონთ ნაციონალურ მოძრაობაში დღეს მიმდინარე პროცესები. განაწყენებულების მიმხრობას. რასაკვირველია, „ქართული ოცნებიდან“ წასულ ამომრჩეველზე ესენი ვერ იმუშავებენ.

*– ბარიერის გადალახვას შეძლებდნენ?*

– ვფიქრობ, კი.

რაც შეეხება დანარჩენ წვრილ-წვრილ პარტიებს, მათ უნდა შეძლონ გაერთიანება თუ უნდათ ბარიერის გადალახვა.

*– რაზეც მუშაობს ყოფილი პრეზიდენტი მარგველაშვილი, როგორც გვითხრა.*

– ვერაფერს გეტყვით, ვის ხვდება, რაზე მუშაობს, რაც ვიცი, ის ბაზალეთის ტბის სიახლოვეს არის.

*– ყოფილი პრემიერი გახარია გააქტიურდა. როგორც ჩანს, მისი ამოცანა არ უნდა იყოს მხოლოდ სამი ადამიანის გაყვანა პარლამენტში. მის შანსებზე რას იტყვით?*

– გახარია კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს. ალბათ ეს უფრო შემოდგომისთვის იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ ის იმ წვრილ-წვრილ პარტიებთან ერთად გავიდეს არჩევნებზე. ალბათ პოლიტიკური თუ საარჩევნო მოზაიკის დალაგებასაც დაელოდება და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას. უკეთესი იქნებოდა თუ ძლიერ დაჯგუფებას შექმნიდა დანარჩენ ოპოზიციასთან, სწორედ იმ წვრილ პარტიებთან და ასე გავიდოდნენ არჩევნებზე.

*– ეს დაჯგუფება რამდენად შეძლებდა გადაუწყვეტელ ამომრჩეველზე მუშაობას?*

– სწორედ მათ უნდა შეძლონ, მეტი არავინ ჩანს. რა თქმა უნდა, თუ ახალი ვინმე არ გამოჩნდა ასპარეზზე. თუ წვრილ-წვრილმა პარტიებმა გაერთიანება ვერ შეძლეს და ახლებურად საკუთარი თავის ამომრჩევლისთვის შეთავაზება, მაშინ არაფერი შეიცვლება. მივიღებთ იგივე სურათს, რაც გვაქვს. ისევ იქნება „ქართული ოცნება“ თავისი უმრავლესობით და



ნაციონალური მოძრაობა. ეს ორპოლუსიანი პოლიტიკა კი ამ ქვეყნისთვის დამღუპველია. ეს არ არის ის, რაც განავითარებს ქვეყანას და წინ წაიყვანს. 1995 წლის არჩევნების შედეგად დაკომპლექტებული პარლამენტი მახსენდება, როდესაც სწორედ ასეთი სურათი გვქონდა.

*– არსებობს თუ არა იმის შანსი, რომ „ქართულ ოცნებას“ მთავრობის დასაკომპლექტებლად დახმარება დასჭირდეს?*

– ეს შანსი რომ გაჩნდეს, ამიტომ უნდა მოხდეს ყველა წვრილი პარტიის გაერთიანება. დღეს, „ოცნებაც“ და ნაციონალებიც მედლის ორი მხარეა. ამიტომ, ვისთან შეკრავ მთავრობას, დიდი განსხვავება არ არის. მთავარია, ეს შანსი გაჩნდეს, რაც კარგი იქნება ქვეყნისთვის, მისი პერსპექტივისთვის. გახარიამ ადგილობრივ დონეზე ამის მაგალითი აჩვენა, რაც არ იყო ცუდი. მით უფრო, საპარლამენტო მმართველობისთვის კოალიციური მთავრობა ორგანულია. ეს ის არის, რაც უნდა იყოს.

# „პუტინს ფრონტზე ძალიან დიდი პრობლემები აქვს“

## „პუტინს იმედი ჰქონდა, რომ თამაშში სი ძინპინი ჩაერთვებოდა, მაგრამ მან რუსეთთან სამხედრო კავშირზე უარი თქვა“

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპანტი რუსეთი, რომლის პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაპატიმრების ორდერი გასცა, განაგრძობს საომარ მოქმედებებს უკრაინაში. რატომ გაააქტიურა პუტინმა ბირთვული რიტორიკა? რა მძიმე რეალობაში აღმოჩნდა კრემლი? როგორ გააწბილა რუსეთის ხელმძღვანელობა ჩინეთის ლიდერმა? რატომ არ შეწყვეტს დასავლეთი უკრაინისათვის დახმარების გაწევას? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინის არმიის ცნობილი გენერალი ნიკოლაი მალომუჟი.

*– აგრესორი ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს განალაგოს ტაქტიკური ბირთვული იარაღი ბელარუსის ტერიტორიაზე უკრაინისათვის ჩელენჯერ 2-ის ტანკების მოწოდების საპასუხოდ. თქვენი შეფასებით, როგორ შეუძლია პუტინს ბელარუსის ტერიტორიის გამოყენება?*

– განვიხილოთ, თუ რატომ გადავიდა კიდევ ერთხელ პუტინი ბელარუსის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განთავსების რიტორიკაზე. ეს ხდება იმის გამო, რომ პუტინს ფრონტზე ძალიან დიდი პრობლემები აქვს. მან თავი ვერ მოაბა „სპეცოპერაციის“ ვერც ერთი ამოცანის რეალიზაციას. ბახმუტის, ასევე მთელი დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მიტაცებაც კი ვერ მოახერხა. მისი არმია უდიდეს დანაკარგს განიცდის. პუტინს შეტევითი ოპერაციებისათვის არ აქვს კარგი პერსპექტივები.

პუტინი იმედს ამყარებდა იმაზე, რომ მისი ზეწოლა დასავლეთზე ეფექტიანი იქნებოდა, რომ თამაშში ჩაერთვებოდა სი ძინპინი. ჩინეთის მეთაურმა მოხერხებულად დაიძვრინა თავი ამ სიტუაციიდან და უარი თქვა რუსეთთან სამხედრო კავშირზე. ეს პუტინისთვის დიდი დარტყმა იყო. გარდა ამისა, გაცხადდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამანაც ძლიერ დაარტყა პუტინის ამბიციებს. მას პერსპექტივები არ აქვს.





უკრაინაში შემოდის სამხედრო დახმარების ახალი ქარავნები. ესაა მაღალი კლასის შეიარაღება და ტექნიკა, სარაკეტო სისტემები, ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, თვითმფრინავები, საჰაერო თავდაცვის სისტემები, სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალები, შორ მანძილზე მოქმედი რაკეტები. ეს არის პერსპექტივა უკრაინის გამარჯვებისათვის.

უკანასკნელი არგუმენტი, რომელიც პუტინს დარჩა, ეს ბირთვული იარაღია. თუმცა, ის გაფრთხილებულია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ასევე ჩინეთის მხრიდან. მას უთხრეს, რომ ასეთი სცენარი დაუშვებელია.

პუტინის მიერ დაწყებული ახლანდელი შანტაჟი სხვა ტიპისაა. ის აცხადებს, თითქოს დიდი ხანია გეგმავდა ტაქტიკური ბირთვული იარაღის განლაგებას ბელარუსის ტერიტორიაზე. თავს იმით იმართლებს, ვითომ ეს შეთანხმებულია ლუკაშენკოსთან. ცდილობს ყველას აჩვენოს, რომ ფორმალურად არ არღვევს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, როცა ამ იარაღს ათავსებს ბელარუსის ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე. პუტინს უნდა იმის დემონსტრირება, თითქოს ამით არ გადასცემს ბირთვულ საშუალებებს მესამე მხარეს. სინამდვილეში, იგი არღვევს ყველა ნორმას, ვინაიდან ბელარუსს ითრევს ბირთვულ დაპირისპირებაში.

> „თუ რუსეთი ბირთვულ იარაღს განალაგებს, ამას მოჰყვება უმძლავრესი დარტყმები რუსეთის ბირთვულ საშუალებებზე“

პუტინი, ფაქტობრივად, დასავლეთს უყენებს ულტიმატუმს: თქვენ წყვეტთ შეიარაღების მიწოდებას უკრაინისათვის, მე კი არ განვალაგებ ბირთვულ იარაღს ბელარუსშიო. ამ გზით მას, სულ ცოტა, საომარ მოქმედებებში პაუზის მიღწევა უნდა.

დასავლეთი პუტინის შანტაჟსა და მუქარებს არ აღიქვამს. პუტინის მოქმედებებს დასავლეთში ყურადღებით აკვირდებიან. აშშ-ში აცხადებენ, რომ აკონტროლებენ მთელ ბირთვულ რესურსებს. ბირთვული კატასტროფის დაუშვებლობაზე ხმა აიმაღლა ჩინეთმაც.

ვფიქრობ, რომ პუტინის შანტაჟს საპასუხოდ მოჰყვება უფრო ინტენსიური არაოფიციალური მოლაპარაკებები. შოიგუს მეშვეობით პუტინს გადაეცემა მოწოდებები იმის შესახებ, რომ ბირთვული იარაღის განთავსების შემთხვევაში, განხორციელდება უმძლავრესი დარტყმები რუსეთის ბირთვულ საშუალებებზე.

*– ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ანალიტიკის თანახმად, პუტინი კიდევ ფიქრობს ომში გამარჯვებაზე. მას იმედი აქვს, რომ ამას მიაღწევს უკრაინელებისათვის საკუთარი ნების ძალით მოხვევით, ან გატეხვით მას შემდეგ, რაც „კიევს დასავლეთი მიატოვებს“. უშვებთ, რომ სამხედრო დახმარება შეწყდება? აქვს კრემლს წარმატების შანსი?*

– დასავლეთს არჩევანი არ დარჩენია. უკრაინის პარტნიორების ძალები გაერთიანებულია. რუსეთის აგრესიული რეჟიმი ემუქრება არა მარტო უკრაინას, არამედ, ევროპას, ნატოს ქვეყნებს. ბირთვული შანტაჟის გათვალისწინებით ის წარმოადგენს საფრთხეს მთელი მსოფლიოსთვის.

პუტინის ჰიპოთეტური გამარჯვება უკრაინაში ემუქრება პოლონეთსა და სხვა ქვეყნებს. ამიტომ უკრაინას აქტიურად უჭერენ მხარს. ეხმარებიან იმისთვის, რომ უკრაინის არმიამ ომში გაიმარჯვოს. დახმარება გაგრძელდება იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება. პუტინს უნდოდა ნატოსთვის, ევროპისთვის პირობები წამოეყენებინა. ყველაფერი პირიქით გამოვიდა. მისთვის ამის შედეგი ძალიან სერიოზული იქნება.



## ტრამპი არ ცხრება

ბელორუსში რუსული ბირთვული იარაღის განთავსებას ცივილიზებული მსოფლიო ძირითადად უარყოფითად და იუმორით შეხვდა. არა დემოკრატიულმა ქვეყნებმაც კი ბირთვული იარაღის განთავსება დაგმეს. მათ შორისაა ჩინეთიც. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განცხადება გაავრცელა:

– რუსეთის მიერ ბელორუსში ბირთვული იარაღის განთავსება მსოფლიოს შანტაჟს გულისხმობს! ამას ბოლო უნდა მოეღოს!

დიამეტრალურად განსხვავებულია აშშ-ის ექსპრეზიდენტის ტრამპის პოზიცია. ტრამპი აცხადებს, რომ მსოფლიო საშიშ ზღვართანაა.

– ილოცეთ, რომ მესამე მსოფლიო ომი არ მოხდეს! – ამბობს ტრამპი.

## აშშ მხარს უჭერს უკრაინაში აგრესიის გამო საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას



აშშ-ის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩმა შააკმა განაცხადა, რომ უკრაინის წინააღმდეგ აგრესია განხორციელდა და ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალმა უნდა შეისწავლოს.

– ორივე ხელით მხარს ვუჭერთ ასეთი ტრიბუნალის შექმნას, – თქვა შააკმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ირაკლი კობახიძე: „კეზერაშვილმა თავის დანაშაულებს მიხედოს“



– კეზერაშვილმა თავის დანაშაულებს მიხედოს, თავის ტელევიზიას მიხედოს და თავის ტელევიზიებში ათავისუფლოს ხალხი. ამდენი ფული როცა გაქვს, ამდენი ქალიც შეგიძლია მართო“ – აცხადებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე კობახიძე შალვა რამიშვილის მხრიდან სექსუალური შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად და თვლის, რომ რამიშვილის წინააღმდეგ კამპანია კეზერაშვილმა დაგეგმა.

# პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, სქესობრივი კავშირის იძულება — სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა 2023 წლის იანვრიდან მარტამდე პერიოდში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, სქესობრივი კავშირის იძულების, პირადი მიმოწერის გავრცელებისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის 5 ფაქტი გახსნა.

კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1996 წელს დაბადებული ბ.ტ., 2022-2023 წლებში, სოციალური ქსელის „ფეისბუქის" მეშვეობით მოტყუებით მოპოვებულ, დაზარალებულის შიშველი სხეულის ამსახველ ვიდეოებს უკანონოდ ინახავდა. გარდა ამისა, ბრალდებულმა ზემოაღნიშნული ვიდეოების გავრცელების მუქარით, ქალს შიშველი სხეულის ამსახველი სხვა ვიდეოების გაგზავნა და მის მიერ დასახელებულ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება მოსთხოვა. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით დაირღვა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოება და სქესობრივი თავისუფლება.



სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული ბ.ტ. 2023 წლის 14 მარტს დააკავა, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და 139-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.




ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2022 წლის 8 აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთში, 2002 წელს დაბადებულმა ლ.ხ.-მ დაზარალებულთან სატელეფონო კომუნიკაციის, ასევე შეხვედრების დროს, მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ინფორმაციის და ინტიმური შინაარსის ფოტო და ვიდეო ჩანაწერის გახმაურების მუქარით, სქესობრივი კავშირი იძულებით რამდენჯერმე დაამყარა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2023 წლის 23 იანვარს დაკავებული იქნა ბრალდებული ლ.ხ. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტზე მხილებული იქნა 1974 წელს დაბადებული გ.ქ. ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ქ.-მ, 2020 წლის სექტემბერში, სხვა პირისადმი მესაკუთრეობითი დამოკიდებულების მოტივით, უკანონოდ მოიპოვა და გახსნა დაზარალებულსა და მესამე პირს შორის სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" არსებული მიმოწერა, გაეცნო შინაარსს და მოახდინა მიმოწერის ამსახველი ფოტოების, ე.წ. „სქრინშოთების" გადაღება. მიუხედავად დაზარალებულის მოთხოვნისა, რომ მასალა წაეშალა, გ.ქ. კუთვნილ მობილურ ტელეფონში მათ უკანონოდ ინახავდა, რითაც ხელყო დაზარალებულის პირადი მიმოწერის საიდუმლოება.

გ.ქ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა. დანაშაული 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წელს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვა პირის ინტიმური შინაარსის ფოტოს, ვიდეოს და პირადი კომუნიკაციის ამსახველი მიმოწერების მოპოვების და გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით გავრცელებისთვის დაკავებული იქნა 2 პირი – გარდაბნის რაიონში მცხოვრები 2000 წელს დაბადებული ნ.ი. და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1985 წელს დაბადებული ა.ყ.

მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტების აღსაკვეთად და დანაშაულში მხილებული პირების გამოსავლენად ბრძოლას აქტიურ რეჟიმში აგრძელებს.

## მოზარდზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით შიდა ქართლში შუახნის მამაკაცი დააკავეს




არასრულწლოვანზე სავარაუდო სექსუალური ძალადობის მორიგი ფაქტი შიდა ქართლში. რეგიონის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში, რომელსაც ჩვენ შეგნებულად, მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ, მოზარდზე სექსუალური ძალადობის ბრალდებით, შუა ხნის კაცი დააკავეს.

„მთავარი არხის" მიერ მოპოვებული ინფორმაცია უკვე დაადასტურა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით დაიწყო, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს.

„მთავარის" ინფორმაციით, სავარაუდო მოძალადე პოლიციას მისივე ოჯახის წევრებმა გადასცეს:

– ჩემმა გოგომ რომ გაიგო ეს, შოკში ვიყავით. იმ გოგომ ისე თქვა წავასწარიო და თქვენ თუ არა, მე მივილებ ზომებსო. ჩემმა შვილმა, მამაჩემმა თუ ეგ გააკეთა, ჩემი ხელით ჩავაბარებ პოლიციასო და ჩემმა შვილმა დარეკა, გოგომ, – ამბობს დაკავებულის ცოლი.

## ფონიჭალაში, სკვერში ბავშვებს მანქანა დაეჯახა



ფონიჭალაში, სკვერში ორ ბავშვს მანქანა დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა და სკვერში შევარდა. დაშავებული ბავშვები კლინიკაში გადაიყვანეს. შემთხვევა გუშინ მოხდა.

მომხდართან დაკავშირებით შსს-მ გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ქობულეთში ძლიერი ქარის შედეგად წაქცეული ხე ავტომობილს დაეცა, რის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა




ტვ 25-ის ინფორმაციით, ქობულეთში ძლიერი ქარის შედეგად წაქცეული ხე ავტომობილს დაეცა, რომელშიც ერთი ადამიანი იმყოფებოდა.

შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ჯგუფს იგი, სამწუხაროდ, გარდაცვლილი დახვდა.

## ანანია გაჩეჩილაძე შალვა რამიშვილს სექსუალურ ძალადობაში ამხელს

ანანია გაჩეჩილაძე, რომელმაც პოსტ ტვ-ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი სექსუალურ შევიწროებაში ამხილა, „ტვ პირველთან" აცხადებს, რომ მას პოლიციიდან დაუკავშირდნენ და შეხვედრა სთხოვეს.

პოლიციამ ჟურნალისტს იმ ფარული ჩანაწერის სრულად მიწოდება სთხოვა, რომელიც რამდენიმე წლის წინ არის გაკეთებული და რომელიც რამიშვილის მხრიდან სექსუალურ შევიწროებას ადასტურებს.

– მე მივმართე შაბათს შსს-ს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტს, ხოლო ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში დამიკავშირდნენ თბილისიდან, პოლიციის ერთ-ერთი სტრუქტურიდან. მთხოვეს შეხვედრა და ამ შეხვედრაზე წარდგენა იმ ჩანაწერის, რომელიც გასაჯაროვდა ტელევიზიის მეშვეობით.

შეხვედრა ჩანიშნული გვაქვს კვირის ბოლოს და გამოვცხადდები, რა თქმა უნდა, ჩემს უფლებადამცველთან ერთად,



საინტერესოა, რა ტიპის შინაარსის დიალოგი შედგება ჩემსა და პოლიციას შორის. პრინციპში, ეს იყო გამოხმაურება ზუსტად იმაზე, რაც მე მივწერე. ელექტრონული ფოსტით გავუგზავნე შემდეგი შინაარსის წერილი, რომ მე, მოქალაქე ანი გაჩეჩილაძე ვიყავი დაინტერესებული ამ ჩანაწერის გამოძიებით. ასე რომ ვთქვათ, გამოკვლევით და მივაწოდე ინფორმაცია, რომ მაქვს ასეთი ტიპის ჩანაწერი გაკეთებული ამდენი და ამდენი წლის წინ, ამა და ამ ადგილას, ამა და ამ შინაარსის. ყველას კარგად მოეხსენება უკვე, რა შინაარსს ვგულისხმობ. ასევე გამოხმაურება იყო იმავე დღეს ორშაბათს სახალხო დამცველის აპარატიდან და მათაც მთხოვეს, ჩემი სურვილის თანახმად, შესაბამისად ამ ჩანაწერის წარდგენა. მე მაქვს მოლოდინი, რომ ამ ჩანაწერს ერთად მოვუსმენთ და გავაანალიზებთ იმ სტანდარტებით, რაც არის კანონში, რაც არის სამართლიანიც, სამართლებრივიც და უფრო ღრმად შევალთ იმ დეტალებშიც, – ანანია გაჩეჩილაძე.

ანანია გაჩეჩილაძის თქმით, მას ასევე დაუკავშირდნენ სახალხო დამცველის აპარატიდანაც.

## მშობლების მიერ დაშორებული შეყვარებულები 60 წლის შემდეგ დაქორწინდნენ



ათწლეულების განმავლობაში ერთმანეთს დაშორებულმა 79 წლის მამაკაცმა და 78 წლის ქალმა ერთმანეთი იპოვეს და დაქორწინდნენ.

წყვილმა ერთმანეთზე ქალის მშობლების აკრძალვიდან 60 წლის შემდეგ მაინც იქორწინა.

1963 წელს 19 წლის ბრიტანელი ლენ ალბრინგტონმა თავის 18 წლის შეყვარებულ გოგონას ჯენეტ სტირს ხელი სთხოვა. ჯენეტმა თანხმობა განაცხადა. შეყვარებულები ავსტრალიაში გადაბარგებას და იქ ახალი ცხოვრების დაწყებაზე ოცნებობდნენ. ლენი ავსტრალიაში პირველი გაემგზავრა იქ საცხოვრებელი ადგილის მოსაწყობად და მოუთმენლად მოელოდა შეყვარებულის ჩასვლას.

თუმცა მათი გეგმების განხორციელებას ხელი გოგონას მშობლებმა შეუშალეს. როდესაც მათ შეიტყვეს, რომ მათი ქალიშვილი დანიშნული იყო და დედამიწის მეორე ბოლოში აპირებდა საცხოვრებლად გადასვლას, ისინი ძალიან გაბრაზდნენ. მათ გოგონას დაჟინებით მოსთხოვეს სახლში, კუნძულ უაიტზე დარჩენა.

შეყვარებულები იძულებულნი გახდნენ დაშორებას შეგუებოდნენ და მათ ცალ-ცალკე ცხოვრება დაიწყეს. ლენმა ავსტრალიელ გოგონაზე იქორწინა, რომელთანაც სამი შვილი ეყოლა. ასევე ჯენეტიც გათხოვდა ბრიტანეთში და დედა გახდა.

2015 წელს ლენი მეუღლეს გაშორდა და გადაწყვიტა თავისი ახალგაზრდობის შეყვარებული მოეძებნა. ის დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა და კუნძულ უაიტზე მდებარე ჯენეტის სახლს მიაკითხა. იმ დროს ჯენეტი ჯერ ისევ გათხოვილი იყო და მაშინ მათი ურთიერთობა აღარ გაგრძელებულა.

ქალმა ლენს ორი წლის შემდეგ მისწერა, მას შემდეგ, როდესაც მეუღლე კიბოს დაავადებისგან გარდაეცვალა. აღმოჩნდა, რომ ჯენეტს თავისი პირველი ნიშნობის ბეჭედი, რომელიც ლენმა მას 1963 წელს აჩუქა, შემონახული ჰქონდა. მათ შორის ახალი ძალით იფეთქა სიყვარულმა და მათ ერთად ცხოვრება ინგლისის ქალაქ სტივენიჯში გააგრძელეს. 2022 წელს ლენმა უკვე მეორედ სთხოვა ხელი ჯენეტს. 2023 წლის თებერვალში კი წყვილმა იქორწინა. ქორწილს მათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები ესწრებოდნენ.

## მკვლელობის თვითმხილველმა თუთიყუშმა მკვლელი ჩაუშვა



ინდოეთში სასამართლომ ორ მამაკაცს სამუდამო პატიმრობა მათ მიერ ჩადენილი მკვლელობიდან ცხრა წლის შემდეგ თუთიყუშის ჩვენების საფუძველზე მიუსაჯა.

დანაშაული 2014 წელს ქალაქ აგრაში იქნა ჩადენილი. მაშინ ადგილობრივი გაზეთის მთავარი რედაქტორი ვიჯაი შარმა თავის შვილებთან – ბიჭთან და გოგონასთან ერთად მეზობელ ქალაქში ქორწილში გაემგზავრა, ხოლო სახლში მისი მეუღლე დარჩა. სახლში დაბრუნებულს ბინა გაძარცვული, ხოლო ცოლი და ძაღლი დახოცილები დახვდა. ამის შემდეგ თუთიყუშმა, რომელიც მის სახლში ცხოვრობდა, საკვების და წყლის მიღებაზე უარი თქვა. მამაკაცმა იეჭვა, რომ ის შესაძლოა მკვლელობის თვითმხილველი ყოფილიყო.

დაქვრივებულმა ვიჯაიმ თუთიყუშს იმ ხალხის სახელების ჩამოთვლა დაუწყო, რომელთაც შესაძლოა დანაშაულის ჩადენაში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. როდესაც მან თავისი ნათესავის აშუს სახელი წარმოთქვა, თუთიყუშმა ხმაური ატეხა და გალიას აქეთ-იქით აწყდებოდა. მსგავსი რეაქცია პოლიციამაც იხილა იმ დროს, როდესაც ეჭვმიტანილი დააპატიმრა.

ვიჯაი შარმის ნათესავმა აღიარა, რომ მკვლელობა თავის მეგობართან ერთად ჩაიდინა. მოკლული ქალის ქალიშვილმა აღნიშნა, რომ აშუ ხშირად სტუმრობდა მათ სახლში და მისთვის ცნობილი იყო, თუ სად ინახებოდა ძვირფასეულობა და ფული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# პატრუშევი — პუტინის ალტერნატივა



ვლადიმერ პუტინმა რუსეთი ჩიხში შეიყვანა. უკრაინასთან ომი სამი დღის ნაცვლად უკვე ერთი წელია მიმდინარეობს, დაღუპული რუსი ჯარისკაცების რაოდენობამ კი 171.000-ს გადააჭარბა. ომმა ნათლად წარმოაჩინა ის ნაკლოვანებები, რაც რუსეთის არმიას ხრავს. სამხედრო ტექნიკა მოძველებულია, მეთაურები კი მეორე მსოფლიო ომის მეთოდებით იბრძვიან. ჯარში გამეფებულია ლოთობა, დედოვსჩინა და ა.შ. ამან განაპირობა კიდეც ის უზარმაზარი ზარალი, რაც რუსეთს მიადგა.

ყოველივე ამან ექსპერტებს ფრიად საგულისხმო დასკვნისაკენ უბიძგა. ვლადიმერ პუტინმა, როგორც პოლიტიკოსმა, საკუთარი თავი ამოწურა. ახლოვდება პოსტ– პუტინისტური ხანა. ვინ შეცვლის ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს?

– რუსეთის ტახტზე ტრადიციულად უამრავი პრეტენდენტია! ყველაზე რეალური კანდიდატია რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი, – მიიჩნევს სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი.

პატრუშევი დაიბადა ლენინგრადში 1951 წელს. დაამთავრა გემთმშენებლობის ინსტიტუტი, შემდეგ სუკის უმაღლესი კურსები მინსკში. როგორც პეტერბურგის კლანის წარმომადგენელი, მხარს უჭერდა დიქტატორ პუტინს. პატრუშევმა თავის დროზე პუტინის ხელისუფლებაში მოსვლაში უდიდესი როლი ითამაშა.

– სწორედ პატრუშევის მიერ იყო ინსპირირებული ჩეჩნეთის მეორე ომი და რუსეთის ქალაქებში სახლების აფეთქება! პუტინიც ხელისუფლებაში ამ ტალღაზე მოვიდა, – აცხადებს შვეცი.

პატრუშევმა პუტინის დიქტატორად გახდომაში უდიდესი წვლილი შეიტანა. დღეს ვლადიმერ ვლადიმიროვიჩს უჭირს. რაკი რუსული დემოკრატია სუსტია, ხოლო ყველაზე ძლიერი სტრუქტურა კი ფსბ-ეა, პუტინის შემცვლელიც სწორედ ფსბ-დან უნდა იყოს. ფსბ-ზე ყველაზე დიდი გავლენა კი დღეისათვის რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანს პატრუშევს აქვს.

ამავე დროს პატრუშევს სუსტი მხარეებიც აქვს. უწინარეს ყოვლისა, ესაა ჯანმრთელობა. მას კიბო სჭირს. შესაბამისად, პოსტპუტინურ ეპოქაში პატრუშევი მხოლოდ გარდამავალი ფიგურა შეიძლება იყოს. ვინ შეცვლის მას? როგორი იქნება რუსეთი პუტინის გარეშე? დღეს ამ კითხვაზე პასუხი არავის აქვს.

# ბრძოლები დონბასში გრძელდება



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ბრძოლების მთავარი ეპიცენტრია დონბასი, კერძოდ, ქალაქები ბახმუტი, ავდეევკა და მარინკა. უკრაინელებმა რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევა განახორციელეს. მათ აიძულეს ოკუპანტები, ბახმუტიდან 70 კმ-ის დაშორებით დაეხიათ. მართალია მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ ის ბევრად უკეთესია, ვიდრე თუნდაც ერთი კვირის წინ იყო. რუსებმა არა თუ წინ ვერ წაიწიეს, არამედ უკანაც დაიხიეს.

სიტუაცია გართულდა ავდეევკასთან. მართალია, წარმატება არ მოჰყოლია ოკუპანტების მცდელობას აეღოთ ქალაქი, მაგრამ მტერმა იერიშები გააძლიერა. რუსებმა ავდეევკაში 500 კგ-იანი ბომბების გამოყენება დაიწყეს. ბრძოლები არც მარინკასთან წყდება. მარცხით მთავრდება რუსების წინ წაწევის ყველა მცდელობა. რაც შეეხება უგლედარს, აქ უკვე მეორე კვირაა სიწყნარეა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს დროებითია.

– რუსებმა უგლედარისაკენ დამატებითი ძალები გადაისროლეს. მოსალოდნელია მასობრივი შეტევების განახლება, – აცხადებს „აპოსტროფ ტივი“.

უკრაინის სამხრეთში განსხვავებული მდგომარეობაა, ვიდრე დონბასში. კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ოკუპანტები ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში შეტევაზე გადასვლას ცდილობდნენ. მაშინ გენერალი სუროვიკინი პუტინს როგორც ხერსონის, ისე მთელი ზაპოროჟიეს ოლქის დაპყრობას ჰპირდებოდა. ეს დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

დღეს ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქებში რუსები თავდაცვით ბრძოლებზე არიან გადასული. უკრაინელები მასობრივ შეტევებს ერიდებიან. ჯერჯერობით ისინი უპირატესობას პარტიზანულ მოქმედებებს ანიჭებენ. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ, მელიტოპოლში ადგილობრივი საოკუპაციო ადმინისტრაციის შენობა აფეთქდა. გუშინ მელიტოპოლში მეორე სერიოზული დივერსია მოხდა. ჰაერში ავარდა ოკუპანტების მიერ შექმნილი სუკისა და შსს-ს შენობები. ოკუპანტებსა და ადგილობრივ კოლაბორაციონისტებს შორის დიდი მსხვერპლია.

მსგავსი ვითარებაა ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში. უკრაინელებმა განახორციელეს დივერსიები ნოვაია კახოვკაში. მტრის რიგებში უზარმაზარი დანაკარგებია. პასუხად რუსებმა ხერსონი დაბომბეს. დანგრეულია შენობები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში



რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში შედის. რუსეთი კვლავ ბირთვული იარაღით იმუქრება. მას მხარს უჭერს რუსული მეხუთე კოლონა და ე.წ. სასარგებლო იდიოტები. ამ უკანასკნელთა რიგებს განეკუთვნება აშშ-ის ექსპრეზიდენტი ტრამპიც.

– რუსები მართლაც მარცხდებიან, მაგრამ ეს სულაც არ არის სასიხარულო. კუთხეში მიმწყვდეული პუტინი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, – თქვა ტრამპმა.

რუსების დანაკარგები სერიოზულია. თანახმად უკანასკნელი მონაცემებისა, მოკლული რუსი ჯარისკაცების რაოდენობა უკვე დაახლოებით 172.000-ია.

სერიოზულ ადამიანებს უკვე არ ეშინიათ პუტინის ბირთვული მუქარების. გამომდინარე ზემოთქმულიდან, კანონზომიერია, რომ საფრანგეთმა უკრაინას უკვე გადასცა ავიაგამანადგურებლები. იგივე მოიმოქმედეს ფინეთმა, სლოვაკიამ, პოლონეთმა და ა.შ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

## დიდი რქოსანი ბუ პარკის დამსვენებლებს თავს დაესხა



კანადის ონტარიოს პროვინციაში მდებარე კილარნის პროვინციული პარკის ოთხმა დამსვენებელმა სამედიცინო დახმარებისთვის ექიმებს მათზე დიდი რქოსანი ბუს, სახელად მაქსის თავდასხმის შემდეგ მიმართა.

ონტარიოს ბუნების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გერი უილერმა განაცხადა, რომ ოთხი დაშავებულის გარდა, ბუ კიდევ ორ ადამიანს დაესხა თავს, თუმცა მათ დახმარების აღმოჩენისთვის ექიმებისთვის არ მიუმართავთ. საერთო ჯამში, ფრინველის მიერ ექვსი ადამიანი იქნა დაშავებული.

ამ ინციდენტის შემდეგ ხელისუფლებამ ტბა ჯორჯზე მდებარე კემპინგისთვის განკუთვნილი ადგილი დროებით დახურა.

უილერის თქმით, ბუს დაზიანება ჰქონდა მიღებული და სწორედ ამის გამო იქცეოდა აგრესიულად ადამიანებთან მიმართებაში.

## სატვირთოს მძღოლი სასადილო შესვენების დროს ლატარიის გათამაშების გამარჯვებული გახდა



სატვირთო მანქანის მძღოლმა, რომელიც ამერიკის კენტუკის შტატში მგზავრობდა, გადაწყვიტა სასადილოდ შეესვენა, ამასთან ერთად ლატარიის ბილეთიც შეიძინა და გამდიდრდა.

მამაკაცი ქალაქ სპარტის ავტოგასამართ სადგურზე შეჩერდა და იქვე ლატარიის სარეკლამო ბანერი შენიშნა.

– გავიფიქრე: „დღეს თავს შესანიშნავად ვგრძნობ“. ამიტომ ბანკომატში ბარათიდან ფული მოვხსენი და ლატარიის ბილეთი ვიყიდე, – განაცხადა სატვირთოს მძღოლმა.

მამაკაცმა ბილეთზე დამცავი ფენის ნაწილი გადაფხიკა და შენიშნა, რომ 500 დოლარი მოიგო. მან ბილეთის შემოწმება გააგრძელა და მიხვდა, რომ რამდენიმე ფულადი პრიზის მფლობელი გახდა. საერთო ჯამში, მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა.

– მხოლოდ 500 დოლარის მოგების იმედი მქონდა, ასე რომ, ახლა უბედნიერესი ადამიანი ვარ. თუმცა დღემდე ვერ დამიჯერებია ეს ბედნიერება, – აღნიშნა მამაკაცმა, რომლის თქმით, ის მოგებული თანხით, სახლის კეთილმოწყობას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

# ჟურნალმა „კინო“ კულტურის სამინისტროსგან დაბეჭდვაზე უარი მიიღო

**კინომცოდნე თეო ხატიაშვილი აცხადებს, რომ კულტურის სამინისტრომ ჟურნალს „კინო“ დაბეჭდვის უფლებაზე უარი უთხრა:**

– ვიცი, ჩემი მეგობრების დიდი ნაწილი დაინტერესებულია, დაიბეჭდება თუ არა კინოს ბოლო ნომერი. იმის მიუხედავად, რომ კინოცენტრი 3 თვის განმავლობაში გაუგებარ და ბუნდოვან პასუხს მცემდა, ამჯერად უკვე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ – არა.

ეს ნომერი განსაკუთრებით მიყვარს და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ ტექსტებთან, მათ შორის, თარგმანებთან, ერთად ის მეტად აქტუალურ საკითხს ეხება – რამდენად შესაძლებელია თანამედროვე ეპოქაში ხელოვნებისა და პოლიტიკის განცალკევება. როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ კულტურის სამინისტროსგან არ მიეღო ჟურნალს დაბეჭდვის უფლება.

ყველა ავტორს ულრმესი მადლობა და გამორჩეულად კი გაგა ჩხეიძეს, რომლის იდეაც იყო ამ ჟურნალის გამოცემა.

იმედია, უკეთეს დროში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და ვითანამშრომლებთ.

# ხელოვნების სასახლეს ბრინჯაოს ხელოვნების ნიმუში გადაეცა



საქართველოს ხელოვნების სასახლეს მხატვარმა და მეცნიერმა ნინო ჯიშკარიანმა ბრინჯაოს დეკორატიული ხელოვნების ნიმუში აჩუქა.

**გიორგი კალანდია, ხელოვნების სასახლის დირექტორი:**

– ქართველი მხატვრისა და მეცნიერისაგან, ნინო ჯიშკარიანისაგან ძვირფასი საჩუქარი მივიღეთ, ბრინჯაოს დეკორატიული ხელოვნების ნიმუში, რომელიც, სავარაუდოდ, XIX საუკუნით თარიღდება. ასეთი ნივთები ამშვენებდა ძველ სასახლეებს, რეზიდენციებსა და მდიდრულ სახლებს. ნატიფად, ბრინჯაოში გაცოცხლებული ასეთი სილამაზე საუკეთესო მოგონებებისა და ემოციების სახსოვარიც იყო. დეკორატიული ხელოვნების ეს გამორჩეული ნიმუში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ხელოვნების სასახლის მუდმივ ექსპოზიციაში, ის ჩვენი სასახლის მკვიდრის, ცნობილი ქალბატონის აგრაფინა ჯაფარიძის სილამაზის თავისებური სიმბოლოც იქნება.

# სოხუმის თეატრში კაბუკის ითამაშებენ

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრში 6 აპრილს პრემიერა გაიმართება.

„ვთამაშობთ კაბუკის“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც ტრადიციული იაპონური თეატრ „კაბუკის“ პიესის „აბრეშუმის ფარანი“ მიხედვით არის დადგმული. საპრემიერო წარმოდგენის რეჟისორი დავით პაპავაა, მუსიკალური გამფორმებელი – დავით საყვარელიძე, ქორეოგრაფი კი – ნათია ბუნტური.

სპექტაკლში მონაწილეობენ ნანკა გვარიშვილი, სანათა ძაძამია, მარიამ სარდანაშვილი, ქრისტინე ჩხიკვაძე, ეკატერინე არჩაია, მარინა სოლომონია, ჯულიეტა პაკელიანი, ვერიკო კალანდია, ლონდა კაცია, ნინო პაპავა და მილენა აჟიბა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

# ბითაძემ 13 წუთში 13 ქულა ჩააგდო



გოგა ბითაძემ ორლანდო მეჯიქში გადასვლის შემდეგ ყველაზე შედეგიანი მატჩი ითამაშა. აქამდე ქართველ ცენტრს ყველაზე მეტი, 12 ქულა ჰქონდა ჩაგდებული, მემფისთან კი, ბითაძემ 13 წუთში 13 ქულა მიითვალა.

ორლანდომ სტუმრად 108:113 წააგო. ქართველი ცენტრი მოედანზე მესამე პერიოდში გამოჩნდა და სტატისტიკა ასეთი იყო: 13:16 წუთი, 13 ქულა, 6 მოხსნა, 3 დაფარება, 1 პასი და 1 ჩაჭრა. გოგა ერთხელ დაჯარიმდა და ბურთი არ დაუკარგავს. ორლანდოს ქართველმა ცენტრმა 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. ერთი სიტყვით, ბითაძე ძალიან შედეგიანი იყო და სარგებლიანობის კოეფიციენტით ორლანდოელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

საუკეთესო შედეგი პაოლო ბანკერომ დააფიქსირა – 24 ქულა, 11 მოხსნა და 5 პასი. ფრენც ვაგნერმა 32 წუთში 25 ქულა მოაგროვა.

ორლანდოს 32 მოგება და 44 მარცხი აქვს. ფლეი ინის ზონის ბოლო გუნდს, ჩიკაგოს კი, 36 მოგება და 39 მარცხი. დარჩენილ 6 მატჩში ამ სხვაობის აღმოფხვრა ფაქტობრივად შეუძლებელია. სავარაუდოდ, ორლანდო რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ ნბა-ში სეზონს დაასრულებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კალეიდოსკოპი

## ოქროსმაძიებელმა თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვა




ავსტრალიის ვიქტორიას შტატის მთებში ოქროსმაძიებელმა 240 ათასი ავსტრალიური დოლარის ღირებულების მოზრდილ თვითნაბად ოქროს ზოდს მიაგნო.

ოქროს მოსაძებნად მამაკაცი ლითონმაძიებელს იყენებდა. მისი პოვნის შემდეგ კი მან გადაწყვიტა, ის შესაფასებლად ოქროთი მოვაჭრე დარენ კამპისთვის ეჩვენებინა.

კამპის თქმით, მას ოქორსმაძიებელმა თვითნაბადი აჩვენა და ჰკითხა: „შენი აზრით, ის 10 ათასი ავსტრალიური დოლარი ეღირება?“. ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ის უნიკალური საგანი იყო.

– როგორც კი ის ხელში ავიღე, მაშინვე ვთქვი: „უფრო მეტი, მინიმუმ 100 ათასი“ – იხსენებს ექსპერტი.

მაშინ მამაკაცმა აღიარა, რომ მან თვითნაბადის მხოლოდ ნაწილი მიუტანა, ხოლო მეორე ნახევარი სახლში დატოვა. მთლიანობაში ქვა 4,6 კილოგრამს იწონის და ის 2,6 კილოგრამ ოქროს შეიცავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საქართველო ნაგებას გადაურჩა

**საქართველო-ნორვეგია 1:1**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

0:1 სორლოტი (15), 1:1 მიქაუტაძე (61)

**საქართველო:** მამარდაშვილი; კაშია, კვირკველია, ტაბიძე (ზივზივაძე 59); კაკაბაძე, კვეკვესკირი, აბურჯანია (გაგნიძე 90), აზაროვი (გოჩოლეიშვილი 70), დავითაშვილი (ლობჟანიძე 59); კვარაცხელია, მიქაუტაძე (ბერიძე 90)

**ნორვეგია:** ნილანდი, პედერსენი (რიერსონი 90), სტრანდბერგი, ოსტიგორი, მელინგი, ედეგორი, ბერგი (ტორსტვედტი 90), აურსნესი, სოლბაკენი (ბრინჰილდსენი 82), ელიუნუსი (ბერგე 78), სორლოტი

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ნორვეგიას უმასპინძლა. ბათუმში ჩატარებული შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

მატჩის დაწყებამდე, გურამ კაშიამ ეროვნულ ნაკრებში ჩატარებული 100 მატჩის აღსანიშნავად, უეფასგან სპეციალური ჯილდოები მიიღო. სიმბოლური საჩუქრები კაპიტანს ალექსანდრე იაშვილმა გადასცა.

დავუბრუნდეთ თამაშს, რომელმაც აჩვენა, რომ ჩვენი გუნდის მაქსიმუმი იყო ფრე. ეს იმის ფონზე, რომ საქართველოს ნაკრებმა პირველ ტაიმში საშინელი ფეხბურთი ითამაშა, მეორეში კი, უკეთესი იყო.

ამის მიზეზი ვილი სანიოლი და მის მიერ შერჩეული სასტარტო შემადგენლობა გვგონია. სანიოლი რასაც ლაპარაკობს, ყველაფერს საპირისპიროდ აკეთებს. იტყვის, უპრაქტიკო ფეხბურთელებს არ ვათამაშებ, გაიხედავ და სასტარტო შემადგენლობაშია. იტყვის, ესა თუ ის ფეხბურთელი ამ პოზიციაზე უფრო სარგებლიანია, დაიწყება მატჩი და სხვა პოზიციაზე ვხედავთ.

კიდევ უფრო ჯიუტია ამორჩეულ ტაქტიკურ მონახაზში. ფრანგი სპეციალისტის 3-5-2, ფაქტობრივად, 5-4-1 უფროა. ნორვეგიასთან მიხვდა, რომ ეს სქემა არ ჭრიდა და იქვე გადააწყო 4-4-2 ტაქტიკურ სქემად და გუნდმა გოლიც გაიტანა.

საყრდენ ზონაში კი პრობლემები არახალია. ძალიან ინერტული ნახევარდაცვა გვყავს, ნელი და ვერ ვასწრებთ სხვის სწრაფ ნახევარმცველებს.

ერლინგ ჰოლანდის არყოფნაში ცენტრფორვარდად სოსიედადის მოიერიში, ალექსანდერ სორლოტი დადგა და 15 წუთში გოლიც გაგვიტანა. ამასთან, მარტივად – ბურთი საჯარიმო მოედნის წინა ხაზის სიახლოვეს მიიღო, ჩამოძინებული მცველებისა და ნახევარმცველების თვალწინ ცენტრისკენ შეიწია და გამოზომილად დაარტყა.



საწყის მონაკვეთში ბურთი და ტერიტორია ნორვეგიას ჰქონდა. გამოჩნდა, რომ მეტოქე „პირველ ნომრად" თამაშობდა, ჩვენ კონტრშეტევაზე გაქცევის იმედად ვიყავით. ამიტომაც იყო, სკანდინაველებმა გოლამდეც „გვიჩხვლიტეს", როდესაც ოლა სოლბაკენმა დაარტყა, მაგრამ სიტუაცია განიმუხტა.

ნახევარი საათის თავზე ნორვეგიას ორი დიდებული შანსი ჰქონდა: ჯერ სოლბაკენს ჩაუწვა კაშია და არ გაატანინა, მერე კი მარტინ ედეგორმა დაუმიზნა შორეულ კუთხეს და ოდნავ უმტყუნა სიზუსტემ. მალევე, გიორგი მამარდაშვილმა მოჰამედ ელიუნუსს ახლოდან ურთულესი ბურთი აუღო.

39-ე წუთზე გოლთან ჩვენც ახლოს ვიყავით – კვარაცხელიამ შორეულ კუთხეში დაუმიზნა, დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა...

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა უკეთ დაიწყო. მერე სანიოლი სუფთა ორფორვარდიან ტაქტიკაზე გადავიდა – მიქაუტაძეს ბუდუ ზივზივაძე შეუწყვილდა და შედეგიც დადგა...

კვეკვესკირის გრძელი პასის შემდეგ ბუდუმ ბურთი გაატარა, მიქაუტაძემ ნორვეგიელთა მცველებს უყურადღებობა არ აპატია, წამით დაასწრო და ნილანდთან პირისპირ გასულმა გაათანაბრა – 1:1.

მერე თუ ვინმეს მოსაგები ჰქონდა, ეს ნორვეგია იყო: ჯერ მამარდაშვილმა გვიხსნა სორლოტის გოლისგან; შემდეგ ედეგორმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან დაუცველ კარს ააცილა.

**ვილი სანიოლი:**

– პირველი ტაიმით, განსაკუთრებით საწყისი 20-25 წუთით, უკმაყოფილო ვარ. ვერ ვთამაშობდით ჩვენ თამაშს, ბურთს ხშირად ვკარგავდით. თამაშის გამოსწორება პირველ ნახევარში ვცადეთ, მეორე ტაიმში კი, მცველი ფორვარდით შევცვალეთ და ამან შედეგი გამოიღო. სისტემის ცვლილებამ შეხვედრის მიმდინარეობა შეცვალა. განსხვავებული იყო ფეხბურთელების დამოკიდებულებაც, უფრო ამბიციურები იყვნენ, მეტ ორთაბრძოლას იგებდნენ. როდესაც შეგიძლია თამაშის ასე შემოტრიალება, ნიშნავს, რომ გაქვს საკმარისი ხარისხი. გუნდი მეორე ტაიმში სწორედ აზროვნებდა.

გაშვებული გოლის დროს მამარდაშვილმა, სამწუხაროდ, ბურთი ცუდად შეიყვანა თამაშში და მალევე მივიღეთ შეტევა. თუმცა, ამის შემდეგ ფანტასტიკური თამაში ჩაატარა. ის ყოველ უიქენდზე დამაჯერებელია ვალენსიასთან ერთად და ბედნიერი ვარ, რომ ამას ჩვენთან ერთადაც აკეთებს.

სამცველიანმა ტაქტიკამ გასულ სეზონში დიდი წარმატება მოგვიტანა. თუმცა, ფეხბურთში ყოველთვის ვითარდება და როდესაც სულ ერთი სისტემით თამაშობ, გარკვეულ მომენტში, ის აღარ მუშაობს. ჩვენ თამაშში ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი. ბოლო წუთებზე ოთხი შემტევით ვთამაშობდით. გამოვიყენებთ თუ არა ამ სისტემას უფრო ხშირად, დრო გვიჩვენებს, გასათვალისწინებელია მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ტაქტიკის ცვლილება მოთამაშეებზე დადებითად აისახა და დაეხმარა შესაძლებლობების წარმოჩენაში. ასე რომ, მეორე ტაიმის ტაქტიკა, შესაძლოა, იყოს ერთ-ერთი ვარიანტი სამომავლოდ.

მიქაუტაძემ ბოლო პერიოდში ბევრად გააუმჯობესა თამაში. ის შედეგიანია კლუბში და დღეს გვაჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ნაკრებისთვის. გიორგი არ არის ტიპიური ცენტრფორვარდი, რომელსაც ბურთის შენარჩუნება შეუძლია. გასათვალისწინებელია, რომ ბუდუ ზივზივაძე ამჟამად კლუბში ცოტას თამაშობს და საუკეთესო ფორმაში არ არის, თუმცა ვფიქრობ, რომ ზივზივაძის და მიქაუტის დუეტი, შესაძლოა, ძალიან საინტერესო იყოს.

ერთა ლიგის გასულ გათამაშებაში ხვიჩა თითქმის ყოველთვის მოედნის ცენტრში მოქმედებდა. ის ძალიან ნიჭიერია და ბევრ პოზიციაზე შეუძლია თამაში. კვარაცხელიას უყვარს ფლანგიდან ცენტრში შეწევა, სწორედ ასე თამაშობს ნაპოლიში და უფრო მოსწონს მარცხენა ფლანგზე ყოფნა. თუმცა, როდესაც ვთხოვ, ცენტრში ითამაშოს, არაფერს ამბობს, ყოველთვის ბედნიერია და მზად არის ამისთვის.

ბუდუ ზაფხულში ფანტასტიკური იყო, ახლა მიქაუტაძეც გვყავს, რომელსაც ბევრის გაკეთება შეუძლია. ასე რომ, ბევრს ვიფიქრებ, თუ როგორ ვითამაშოთ ივნისში. მიქაუტაძის პროგრესიდან გამომდინარე, შესაძლოა, ტაქტიკაც განსხვავებული იყოს.

გიორგი ჩაკვეტაძე ძალიან ნიჭიერია. ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ, ახლა კარგი პერიოდი აქვს, თუმცა დრო კიდევ სჭირდება. თანამედროვე ფეხბურთში ბევრი სირბილი გიწევს, შეტევიდან დაცვაში გადართვა. ფიზიკური კონდიციებიდან გამომდინარე, არ არის მარტივი ამის გაკეთება. გასულ სეზონში, როდესაც საუკეთესო ფორმაში არ იყო, ჩვენთან ერთად იმყოფებოდა. ითამაშა მონღოლეთთან. მას გარკვეული დრო სჭირდება, რომ სრულყოფილად დაუბრუნდეს ნაკრებს. შეტევაში დიდი კონკურენციაა და ბალანსი უნდა შევინარჩუნო, ერთდროულად ყველას ვერ ვათამაშებ. ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა.

**სტოლე სოლბაკენი:**

– ვერ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოს ნაკრების მხრიდან რაიმე იყო – მოულოდნელობა თუ სიურპრიზი. არა, დღეს ასეთი სიურპრიზი არ ყოფილა.

მეორე ტაიმში ხელიდან რატომ გაგვექცა უპირატესობა? არა მგონია, რომ უპირატესობა მეტოქეს გადავულოცეთ, უბრალოდ, რამდენჯერმე ბურთი დავკარგეთ და საქართველომ კარგი კონტრშეტევები განახორციელა.

ამის მიუხედავად, მგონია, რომ როცა სტუმრად 7 საგოლე მომენტს ქმნი, ხოლო მასპინძლებს 2-3 შანსი აქვთ, ეს არ მიუთითებს ცუდ თამაშზე.

მიქაუტაძეც არ იყო სიურპრიზი. საქართველოს ნაკრების შესახებ ყველაფერი ვიცოდით. ასევე გამოვარჩევ გიორგი მამარდაშვილს, რომელმაც დღეს შესანიშნავი თამაში ჩაატარა.

ჩვენივე ჯგუფში ფავორიტად შერაცხულმა ესპანეთმა გლაზგოში შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან 0:2 წააგო. სქოთებს 2 თამაშში ქულათა მაქსიმუმი აქვთ.

ესპანეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ლუის დე ფუენტემ გააკვირვა ესპანური მედია, როცა ნორვეგიასთან პირველ ტურში მოგებული (3:0) მატჩის შემდეგ, „ჰემპდენ პარკზე", ძირითადში 8 ახალი ფეხბურთელი გაამწესა.

მატჩის შემდეგ დე ლა ფუენტემ ჟურნალისტები კიდევ უფრო მეტ საგონებელში ჩააგდო, როცა განაცხადა – წავაგეთ, მაგრამ ფეხბურთელების მხრიდან საქმისადმი დამოკიდებულებით აღფრთოვანებული ვარო...

რაც შეეხება შოტლანდიის ნაკრებს, სტივ კლარკის გუნდში აუცილებლად უნდა აღინიშნოს მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველის, სკოტ მაკტომინეის ბრწყინვალე გარჯა, ვინაც ზედიზედ მეორე მატჩში შეასრულა დუბლი.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.შოტლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-0 | 6 |
| 2.ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 3.ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 4.საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 5.კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დავით ნინიაშვილი ოსკარის მფლობელია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისა და ლიონის ახალგაზრდა ვარსკვლავი, 20 წლის უკანასხაზელი დავით ნინიაშვილი, პოპულარულმა ფრანგულმა სარაგბო გამოცემა „მიდი ოლიმპიკმა" „ოსკარით" დააჯილდოვა.



გამოცემის მიერ ორგანიზებული წლის საუკეთესო მორაგბის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია 70-ედ გაიმართა. ამ პერიოდში ტიერ 2 სარაგბო ქვეყნის წარმომადგენელი „ოსკარის" მფლობელი ერთადერთხელ გახდა და ის ქართველი ლეგენდა მამუკა გორგოძე (რომელიც ორი სხვადასხვა „ოსკარის" მფლობელია) იყო, ახლა კი ეს პატივი ნინიაშვილმა (როგორც საუკეთესო მოთამაშე) დაიმსახურა:

**დავით ნინიაშვილი:**

– ასეთ აღიარებას არ ველოდი და ძალიან ბედნიერი ვარ. მადლობა დაფასებისთვის „მიდი ოლიმპიკს", რომელმაც მე გამომარჩია. ენით აღუწერელი სიხარულია, როდესაც მამუკა გორგოძის შემდეგ ხდები პირველი ქართველი, რომელსაც წილად ეს ჯილდო ერგო.

დაახლოებით 1 კვირით ადრე მითხრეს, რომ „მიდი ოლიმპიკი" „ოსკარის" გადმოცემას აპირებდა და არ დავიჯერე, ხუმრობა მეგონა. მერე, რომ მითხრეს, სიტყვა მოამზადეო, ცოტა ავნერვიულდი და თავად ცერემონიის დროსაც ვნერვიულობდი, ვერ ვიაზრებდი ჩემ გარშემო რა ხდებოდა. ძალიან დამეხმარნენ ნიკა ალავიძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი) და ლევან ღვაბერიძე (საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი), ასევე ბექა სალინაძე, რომელიც ლიონში ჩამოსვლის პირველივე დღიდან მხარში მიდგას.

ნიკა ალავიძე მიიჩნევს, რომ დავით ნინიაშვილისთვის „ოსკარის" გადაცემა მთლიანად ქართული რაგბის აღიარებაა:

– ჩვენი ქვეყნის ყველა გულშემატკივარს მინდა მივულოცო ეს დიდი აღიარება. „მიდი ოლიმპიკის" „ოსკარის" დაჯილდოება სარაგბო სამყაროში ძალიან დიდი მოვლენაა, რომელიც ეკუთვნის როგორც ინდივიდუალურად დავით ნინიაშვილს, ასევე მთლიანად ქართულ რაგბის. საზეიმო საღამოზე საქართველო არაერთხელ გაჟღერდა, რაც დიდი სიხარული იყო თითოეული ჩვენგანისთვის. ვულოცავ ბექას სალინაძეს და მთელ საქართველოს ნაკრებს, მათი მეგობრისა და თანამებრძოლის ასეთ გამორჩეულ აღიარებას სარაგბო სამყაროში – ეს გუნდური შრომის ნაყოფია.

ლიონში, „ჟერლანზე" გამართული ღონისძიებისას ითქვა, რომ ლიონისა (ჩელენჯ თასზე და ტოპ 14-ში) და საქართველოს (იტალიასა და უელსთან ისტორიული გამარჯვებები) ბოლოდროინდელი წარმატებები, დიდწილად ნინიაშვილს უკავშირდება. თავად მორაგბე საკლუბო კარიერაში გამორჩეულად ჩელენჯ თასის ფინალში გამარჯვებას მიიჩნევს და ინდივიდუალურ წარმატებას გუნდს უკავშირებს:

– ჩელენჯ ქაფის ფინალს ყველანი საოცრად მომზადებული შევხვდით, იგრძნობოდა, რომ მოსაგებად გავდიოდით, მაგრად ვითამაშეთ და ყველას დავანახეთ, როგორი გუნდია ლიონი. ამ სეზონში გამორჩეული თამაში ჯერ არ მქონია. ყველა შეხვედრაში მაქსიმუმს ვდებ და ვცდილობ, საკუთარ თავს მაქსიმუმი გამოვძალო. რაც შეეხება ლელოების სიმრავლეს, ეს გუნდის და მისი თითოეული წევრის დამსახურებაა. მე გუნდური მოთამაშე ვარ და ვაფასებ, ასეთი მეგობრები რომ მყავს.

## შედეგები

**28 მარტი**

**ფეხბურთი**

**ევრო 2024. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| საქართველო-ნორვეგია | 1:1 |
| კოსოვო-ანდორა | 1:1 |
| რუმინეთი-ბელარუსი | 2:1 |
| თურქეთი-ხორვატია | 0:2 |
| უელსი-ლატვია | 1:0 |
| შვეიცარია-ისრაელი | 3:0 |
| შოტლანდია-ესპანეთი | 2:0 |

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| ბოტსვანა-ეკ.გვინეა | 2:3 |
| მალავი-ეგვიპტე | 0:4 |
| ნამიბია-კამერუნი | 2:1 |
| ესვანტინი-კაპო ვერდე | 0:1 |
| გამბია-მალი | 1:0 |
| ლიბერია-ს.აფრიკა | 1:2 |
| მოზამბიკი-სენეგალი | 0:1 |
| ტანზანია-უგანდა | 0:1 |
| კომორი-კოტ დივუარი | 0:2 |
| ტოგო-ბურკინა ფასო | 1:1 |
| ლიბია-ტუნისი | 0:1 |

**კონკაკაფის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| კანადა-ჰონდურასი | 4:1 |
| კოსტა რიკა-პანამა | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჩილე-პარაგვაი | 3:2 |
| ავსტრალია-ეკვადორი | 1:2 |
| ბანგლადეში-სეიშელი | 0:1 |
| იაპონია-კოლუმბია | 1:2 |
| კორეა-ურუგვაი | 1:2 |
| ინდოეთი-ყირგიზეთი | 2:0 |
| ინდონეზია-ბურუნდი | 2:2 |
| მალაიზია-ჰონკონგი | 2:0 |
| სომხეთი-კვიპროსი | 2:2 |
| ირანი-კენია | 2:1 |
| საემიროები-ტაილანდი | 2:0 |
| უზბეკეთი-ვენესუელა | 1:1 |
| იორდანია-ფილიპინები | 4:0 |
| ბაჰრეინი-სირია | 1:0 |
| გერმანია-ბელგია | 2:3 |
| ქუვეითი-ტაჯიკეთი | 2:1 |
| ს.არაბეთი-ბოლივია | 1:2 |
| მაროკო-პერუ | 0:0 |

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მონასტრის მსახური; 2. ისრაელის პარლამენტი; 3. სალებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილებს; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. ცოლის დედა; 9. „ბითლზის" ერთ-ერთი წევრი; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ხეობა, ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 17. მზის სისტემის პლანეტა; 19. ესპანელი აზნაური; 20. ძნელად შესაგუებელი, უხასიათო ადამიანი.

**თარაზულად:** 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. უდაბნოს ცხელი ქარი; 10. კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის კინოპრიზი; 11. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად: 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ფართოფარფლებიანი ესპანური ქუდი; 18. ცირკის არენა; 21. საჯარო კამათი ლიტერატურულ, მეცნიერულ საკითხებზე; 22. მდინარე ოზურგეთში; 23. ცნობილი უელსელი რაგბის მსაჯი; 24. ქართველი ბალეტმეისტერი, ამერიკული ბალეტის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბლოგი; 2. დაფნე; 3. გრივნა; 4. ვერიკო; 6. პოდიუმი; 9. სანტე; 11. ველვეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. სატივე; 17. მისისიპი; 19. ამანათი; 21. მაქმანი; 22. გრიგო.

**თარაზულად:** 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ორბანი; 10. ბარბერი; 12. კარნო; 13. ელესა; 14. კატეხიზმო; 18. ლავრა; 20. ტანინი; 23. ურნალი; 24. ქუჯი; 25. დავოსი; 26. გაჯი; 27. ინდოეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბეიძინი; 2. პუშკაში; 3. მისტრალი; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიზნესი; 9. ვილაიეთი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. მაესტრო; 19. ისინდი; 20. პუებლო.

**თარაზულად:** 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბოტეგა; 10. ჟინვალი; 11. შოვი; 14. ყინწვისი; 15. ტალახაძე; 18. კოპოლა; 21. სალომეა; 22. გურჯი; 23. იაოტო; 24. კაბელტოვი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

30 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5655 | ევრო — 2.7851 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1666 | 100 რუსული რუბლი — 3.3277 |

ამინდის პროგნოზი 30 მარტისათვის




## ვილი სანიოლი: „პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ“



საქართველოს ნაკრებმა საკუთარ მოედანზე ნორვეგია მიიღო და დაძაბული მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. პირველ ტაიმში ნორვეგიამ საქართველო პირწმინდად დაჩაგრა და ჩვენს ეროვნულ გუნდს გაუმართლა, რომ მათ მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხეს. ეს გარემოება მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმაც აღნიშნა: „პირველ ტაიმში ბევრ შეცდომას ვუშვებდით და მეტოქემ ამით ისარგებლა. მეორე ტაიმში ტაქტიკა შევცვალე და გუნდი გაცილებით შემტევი და ეფექტური გახდა. შედეგი ცუდი არ არის, თუმცა ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოდით“.

## ლიონელ მესი: „ნაკრებში კიდევ რამდენიმე წელი ვითამაშებ“



არგენტინის ნაკრების ლიდერმა და კაპიტანმა ლიონელ მესიმ განაცხადა, რომ მას სიამოვნებს ნაკრებში თამაში და ასაკის მიუხედავად, ის კიდევ რამდენიმე წელიწადი აპირებს ნაკრებში თამაშის გაგრძელებას და ჯერ არ იცის, თუ როდის დაასრულებს სანაკრებო კარიერას: „მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემდეგ ნაკრებში თამაში კიდევ უფრო სასიამოვნო გახდა და მინდა, რომ მომენტით დავტკბე. რამდენიმე წელიწადი არსად წასვლას არ ვაპირებ და შევეცდები გულშემატკივარი გავახარო“.

## გვარდიოლა ბარსელონაში დაბრუნებას არ გამორიცხავს



ბარსელონას ყოფილი მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა გუნდში დაბრუნებას არ გამორიცხავს, თუმცა, მისი თქმით ეს უახლოეს მომავალში არ მოხდება. გვარდიოლა 7 წელია მანჩესტერ სიტის წვრთნის და მას ამ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს: „ბარსელონაზე ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რადგან ამ გუნდთან ერთად ბევრ რამეს მივაღწიე. ჯერჯერობით ჩემი დაბრუნება გამორიცხულია, მაგრამ მომავალში არაფერს გამოვრიცხავ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კახი სოლომნიშვილმა არგენტინის ფილარმონიულ ორკესტრს უდირიჟორა



ქართველმა დირიჟორმა კახი სოლომნიშვილმა არგენტინის ფილარმონიულ ორკესტრს წარმატებით უდირიჟორა და მუსიკოსების გულიც დაიპყრო.

**ინფორმაცია ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:**

– კახი სოლომნიშვილმა უსაზღვროდ წარმატებული კონცერტი ჩაატარა არგენტინის ფილარმონიულ ორკესტრთან, რომელთა მუსიკოსების გული იმდენად დაიპყრო, და ეს დირიჟორისთვის ყველაზე რთულად მისაღწევია, რომ შესთავაზეს რეგულარულად თანამშრომლობა როგორც სიმფონიური პროგრამების, ისე საოპერო სპექტაკლების სადირიჟოროდ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## იუმორი

ცოლ-ქმარი ტელევიზორს უყურებს. ცოლი მაცდური ღიმილით ეუბნება ქმარს:

– ახლა მალე ბავშვები დაიძინებენ და, იცი, რას გავაკეთებთ?

– რას, ძვირფასო?

– ბავშვების საჩუქრებიდან კანფეტებს ამოვიღებთ და შევჭამთ!

•••

ინდიელს თეთრკანიანი მეგობარი ბიზონებზე სანადიროდ მიჰყავს. ერთ ადგილას ინდიელი ჩაიმუხლავს და ყურს მიწაზე დაადებს. შემდეგ ფეხზე წამოდგება და ამბობს:

– ბიზონები ახლოს არიან. აქ არც ისე დიდი ხნის წინ გაიარეს.

– როგორ მიხვდი? – ეკითხება გაოცებული მონადირე.

– ვერ ხედავ, ყური ბიზონის ნეხვით მაქვს მოსვრილი.

•••

გოგოს და ბიჭის საუბარი. გოგონა ეკითხება:

– რა გქვია?

– თემური.

– ვაიმე, ჩემი საყვარელი სახელია. მე თეო მქვია. და რამდენი წლის ხართ?

– ოცდაოთხის.

– ვაიმეე, ჩემი საყვარელი ასაკია. მეც ოცდაოთხი წლის ვარ უკვე თერთმეტი წელია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## პაატა გულიაშვილს აკაკი ხორავას პრემია მიენიჭა

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობ პაატა გულიაშვილს აკაკი ხორავას სახელობის პრემია მიენიჭა.



პრემია მას საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გადასცა.

პაატა გულიაშვილი გენიალური მსახიობის სახელობის ჯილდოს მფლობელი ქართული თეატრის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის გახდა.

## ალექსანდრე ზაზარაშვილი „ამერიკის ვარსკვლავის“ წვეულებაზე ჩავიდა



უკრაინული საბავშვო „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრე ზაზარაშვილი ნიუ იორკში „ამერიკის ვარსკვლავის“ დახურულ წვეულებაზე ჩავიდა. ღონისძიებაზე ალექსანდრე მისი ვოკალის პედაგოგის, მსოფლიოში ცნობილი შეროლ პოსტერის ხელშეწყობით აღმოჩნდა.

ქართველი მომღერალი „ამერიკის ვარსკვლავის“ ჟიურის წევრებს ლაიონელ რიჩის, ქეითი პერისა და ლიუკ ბრაიანს შეხვდა და მათთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

ქართველ მომღერალს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მუსიკალურ შოუში „ამერიკის ვარსკვლავი“ მონაწილეობა ჯერჯერობით არ შეუძლია, რადგან 16 წლისაა და პროექტისთვის პატარაა, თუმცა ალექსანდრეს სამომავლო გეგმებში ამ შოუში მონაწილეობაც შედის.

## ანა ჩუბინიძე ამერიკასა და კანადაში დააჯილდოვეს



ქართველი ანიმატორი ანა ჩუბინიძე ამერიკასა და კანადაში საერთაშორისო ფესტივალებზე დააჯილდოვეს.

ანა და მისი „ჯიბის სტუდია“ მსოფლიოს სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფესტივალებში აქტიურად მონაწილეობენ და დიდ წარმატებებსაც აღწევენ.

**ანა ჩუბინიძე, ანიმატორი:**

– ორი ახალი ცხელ-ცხელი პრიზი ამერიკიდან და კანადიდან! ჯამში 19 პრიზი გვაქვს!

## ლაშა ბუღაძემ ახალ რომანზე მუშაობა დაასრულა



მწერალმა ლაშა ბუღაძემ თავის ახალ რომანზე „საქართველოს სახელით“ მუშაობა დაასრულა, რომელსაც მკითხველი ძალიან მალე გაეცნობა.

ნაწარმოები 80-90-იანი წლების საქართველოს ავტობიოგრაფიაა. მთხრობელი, რომელიც ერთდროულად ავტორის პროტოტიპიცაა და კომუნისტური ეპოქის მიწურულის საქართველოსიც, გვიყვება მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლებსაც როგორც ქვეყნის, ისე პირადად მის ცხოვრებაში გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა.

ავტორის ბავშვობას ემთხვევა თვითმფრინავის გატაცების გახმაურებული საქმე და ქვეყნის „ინტელიგენციის“ არაერთგვაროვანი რეაქცია ამ ამბებზე; რისი შეეშინდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც სიკვდილმისჯილების შეწყალებას ხელმოწერებით ითხოვდა; რა ხდებოდა ცენტრალური კომიტეტის მდივნის კაბინეტში 1989 წლის 9 აპრილის წინ; რის გამო შეიძულეს ხმათა უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი – ბავშვის მოგონებების პარალელურად, ამ ეპოქის ბობოქარ, ტრაგიკულ, ხმაურიან თუ მიჩქმალულ მოვლენებს სხვა პერსონაჟების პერსპექტივიდანაც ვხედავთ.

ავტორის ბავშვობისა და მოზარდობის ისტორიის, მისი პირადი გამოცდილების პარალელურად ვითარდება მეტისმეტად ახალგაზრდა, ქაოსით მოცული, დაბნეული საქართველოს ბიოგრაფიაც. ქვეყნისა, რომლისგან გაქცევაც იმაზე რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

## დავით წერედიანის შედევრები გამოცემულია



**პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის შედევრები გამოცემულია:**

– დავით წერედიანი შედევრებს თარგმნიდა და მისი თარგმანები გვარწმუნებდა, რომ შედევრების თარგმნა შესაძლებელია ისე, რომ ნებისმიერი მკითხველი მიხვდეს – ეს შედევრია და მორჩა! გოეთეს „თხმელნართა მეფე“, არტურ რემბოს „ოფელია“ და ლორკას „შავი ნაღვლის რომანსი“ – ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოეტები და მათი დაუვიწყარი პოეტური სამყარო წერედიანის თარგმანში. წავაკითხოთ სხვადასხვა თაობის მკითხველს. დარწმუნებული ვარ, ყველა მიხვდება, რომ დიდი პოეზიაა. „ძაფი ნერვისა“ მთარგმნელმა არა თუ მოიხელთა (თავისთვის) ან თანამედროვეთა ემოციური მონუსხვისთვის, არამედ მომავლის მკითხველთან გასდო ხიდი – იმასთან, ვინც ნამდვილმა პოეზიამ უნდა დაარწმუნოს, რომ ამქვეყნად უცვალებელი, ფერუმკრთალი ფასეულობებიც არსებობს. რომ ზოგჯერ თარგმანში არაფერიც არ იკარგება, მისხალიც კი – შედევრების დავით წერედიანისეულ თარგმანში, – ასე აფასებს პოეტის შემოქმედებას გამომცემელი ზვიად კვარაცხელია.

წიგნში შესულია ფრანგული, გერმანული, ავსტრიული, ესპანური, ინგლისური და სვანური პოეზიის თარგმანები, ნაწყვეტები სასულიერო ლიტერატურიდან და ძველი ბერძნული ეპოსიდან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



30 მარტისათვის

**ვერძი** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ახალი ინფორმაცია სასიამოვნოდ გაგაოცებთ. იზრუნეთ ახლობლებზე. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ფხიზლად იყავით, საღად იაზროვნეთ. **ტყუპები** – იმედებითა და ახალი გეგმებით აღსავსე დღეა. მიზანს მიაღწევთ. ნათესავებთან კონფლიქტია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – შესაძლოა, სამსახური ან სულაც პროფესია შეიცვალოთ. წარმატების გარანტი თქვენი პრაქტიკულობა და ინტუიციაა. **ლომი** – პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან. ეს დღე ოჯახურ გარემოში გაატარეთ. **ქალწული** – შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. პარტნიორი თქვენს გაოცებას მოახერხებს. **სასწორი** – დილით ქრონიკული დაავადებები მწვავდება. საღამოს უკეთეს ფორმაში ჩადგებით და სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებთ. **მორიელი** – კომერციული საქმიანობა წარმატებით დაგვირგვინდება. ინიციატივას ნუ დათმობთ. კოლეგები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **მშვილდოსანი** – იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებთ, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. კარგი იქნება განმარტოება, სეირნობა სუფთა ჰაერზე. **თხის რქა** – საკმაოდ იღბლიანი დღეა საქმიანი ურთიერთობებისათვის. სამსახურში სასიკეთო ცვლილებები მოხდება. **მერწყული** – მიზნის მიღწევაში დაბრკოლებები გელით. რეალობას ნუ მოსწყდებით. დეტალები მხედველობიდან არ გამოგრჩეთ. **თევზები** – ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. ნებისმიერ უსიამოვნებას თავიდან ღირსეულად აირიდებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 6. ავსტრიელი კომპოზიტორი; 11. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 9. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 15. რაიმე მოვლენის გამქრალი ნაშთი, კვალი; 16. მექსიკური არაყი; 17. ქალაქის მცხოვრებთა სახელწოდება გერმანიაში ძველად; 19. ყურის ექიმი; 21. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 22. სისხლის შენადედი სისხლძარღვებში.

**თარაზულად:** 5. ქუჩაში დამონტაჟებული სახანძრო ონკანი; 7. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 8. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 10. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველად თბილისში; 12. თეთრი ფერის, ნახევრად-ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 13. პოლიგრაფიაში გამოყენებული სურათის ან ნახატის პირი; 14. კიდული რკინიგზა; 18. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 20. მეფის მრჩეველი; 23. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 24. თონეში გამომცხვარი პური; 25. ნავსადგური, კურორტი, ღვინის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 26. მტვერსასრუტის გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 27. პოპულარული ტყეპარკი ვენაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

